პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 288 (9756) | სამშაბათი, 8 დეკემბერი, 1953 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში:

ჩვენს დიად სამშობლოში (1-ლი გვერდი).
სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში (1-ლი გვერდი).
პარტიული ცხოვრება. — სავაჭრო დაწესებულების თავმინებებული პარტიული ორგანიზაცია. პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის პროპაგანდის მაღალი დონისათვის (მე-2 გვერდი).
ა. გონაშვილი. — საბჭოთა პატრიოტიზმის ინტერნაციონალური ხასიათი (მე-2 გვერდი).
გამოცდილების ტრიბუნა. — როგორ მოვიყვანე კარტოფილის უხვი მოსავალი (მე-2 გვერდი).
წერილები რედაქციას. — ელსადგურს მოითხოვება ყურადღება, სოფლებს — ელექტროშუქი. მექანიკოსი — სახურავი და კარგი დაპირება (მე-3 გვერდი).
კრიტიკა და ბიბლიოგრაფია. — სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურის მაღალი ხარისხისათვის (მე-3 გვერდი).
ჯ. ბახტურიძე. — მარიამ გარიყულის შემოქმედებითი გზა (მე-3 გვერდი).
გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მე-8 სესია (მე-4 გვერდი).
უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

მნიშვნელოვანი რგოლი მოხმარების საქონლის სიუხვისათვის ბრძოლაში

ჩვენი სოციალისტური მრეწველობის საწარმოთა კოლექტივები უდიდესი ენთუზიაზმით შეუდგნენ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ საბჭოთა ხალხის მატერიალურ-კულტურული კეთილდღეობის ახალი, მძლავრი აღმავლობისათვის დასახული საბრძოლო პროგრამის შესრულებას — სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გაფართოებას და პროდუქციის ხარისხის გადაჭრით გაუმჯობესების ღონისძიებათა განხორციელებას. მძიმე ინდუსტრიასთან ერთად ახლა ჩვენს ქვეყანაში უმაგალითო მაღალი ტემპით ვითარდება ფართო მოხმარების სამრეწველო და სასურსათო საქონლის წარმოება, შენდება მრავალი ახალი საფეიქრო საწარმო, ფეხსაცმლის ფაბრიკა, სატრიკოტაჟო, სამკერვალო, საკონსერვო, საკონდიტრო და სხვა საწარმოები.

დიდი მასშტაბის ღონისძიებათა განხორციელება გათვალისწინებულია საქართველოშიც ფართო მოხმარების სამრეწველო და სასურსათო საქონლის წარმოების გასაფიდებლად. უნდა გაფართოვდეს თბილისის მაუდ-კამვოლის ფაბრიკა, რომელსაც შეემატება წმინდა კამვოლური ქსოვილების ახალი საწარმო. იგი გამოუშვებს მაღალხარისხოვან წმინდა საკოსტიუმე ქსოვილებს და თითქმის ერთიორად გაზრდის ფაბრიკის საერთო პროდუქციას. გადაწყვეტილია ძვირფასი ზედა ტრიკოტაჟის საქსოვი ფაბრიკის აგება თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატთან. გაისად თბილისში უნდა შეუდგნენ დიდი საკონდიტრო საწარმოს აგებას, რომელიც მრავალ ათას კილოგრამ ტკბილეულ ნამცხვარს გამოუშვებს დღეღამეში; თბილისშივე აგებულ იქნება საკონდიტრო-ფუნთუშეულის მეორე დიდი კომბინატი. მთელი რიგი ახალი საწარმოების აგება გათვალისწინებულია აგრეთვე ქუთაისში, ჭიათურაში, რუსთავში, რესპუბლიკის მრავალ სხვა ქალაქსა და სამრეწველო ცენტრში.

ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის — თბილისის მშრომელები უკვე გარკვევით გრძნობენ პარტიისა და მთავრობის მიერ ამას წინათ მიღებულ ისტორიულ დადგენილებათა შესრულებისათვის ბრძოლის კეთილმყოფელობას — ბაზარზე სასურსათო და სამრეწველო საქონლის სიმრავლეს, ამ საქონლის ხარისხის გაუმჯობესებისა და მისი ფასების შემცირებას.

როგორც ცნობილია, წელს სავაჭრო ქსელში გარდა იმ 312 მილიარდ მანეთად ღირებული საქონლისა, რომელიც თავდაპირველი გეგმით უნდა გამოეტანათ მოსახლეობისათვის მისაყიდად აპრილიდან დეკემბრის ბოლომდე, მეოთხე კვარტალის განმავლობაში დამატებით გამოტანენ კიდევ 32 მილიარდ მანეთის საქონელს. დამატებითი საქონლის ფონდში მნიშვნელოვანი წილი უკავია იმ პროდუქციას, რომელიც თავიანთი ძირითადი წლიური საწარმოო გეგმების გადამეტებით გამოუშვეს მსუბუქი და კვების მრეწველობის, აგრეთვე მძიმე მრეწველობის სხვადასხვა საწარმოებმა.

საქართველოს მანქანათმშენებელ და ლითონდასამუშავებელ საწარმოებში ფართო მოხმარების საქონლის წარმოების ორგანიზაციაში დიდი გამოცდილება არის დაგროვილი. საჭიროა ეს გამოცდილება საწარმოთა ხელმძღვანელებმა უნარიანად გამოიყენონ, მოაგვარონ ფართო მოხმარების საგნების წარმოება ნარჩენებიდან. ლითონდასამუშავებელ, მანქანათმშენებელ და ჩარხმშენებელ საწარმოებში შავი და ფერადი ლითონების, საღებავების, ხე-ტყის მასალის საგრძნობლად დიდი ნარჩენები აქვთ. ამ ნარჩენებიდან მრავალი კარგი ნივთის გაკეთება შეიძლება, მაგრამ ამისათვის საჭიროა საქმის ორგანიზაცია, მონდომება, სახელმწიფო ინტერესებით გამსჭვალვა. თბილისის 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელ ქარხანაში მრავალი წლის განმავლობაში არსებობდა ფართო მოხმარების საგნების საწარმოო საამქრო, რომელიც, სხვათა შორის შევნიშნავთ, მეტად მდარე ხარისხის ნავთქურებს უშვებდა. ქარხნის ხელმძღვანელებმა ეს საამქრო გერის მდგომარეობაში ჩააყენეს, არც ეხმარებოდნენ, არც ამ საამქროს მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლებაზე, წარმოების ტექნოლოგიის გაუმჯობესებაზე ზრუნავდნენ, ხოლო ბოლოს სულ გაუქმეს. ასევე გაუქმეს და როგორც ზედმეტი ბარგი თავიდან მოიშორეს ფართო მოხმარების საგნების საწარმოო საამქრო სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელ ქარხანაში, რომელიც თბილისელ მშრომელებს ამარაგებდა რკინის ღუმელებით, სოჯახო ავეჯით, რკინა-კავეულით და ა. შ.

რესპუბლიკის მძიმე მრეწველობის საწარმოთა კოლექტივებს ფართო მოხმარების საგნების წარმოების გადიდების უდიდესი შესაძლებლობები აქვთ. უპირველეს ყოვლისა ეს უნდა ითქვას სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული და ქუთაისის საავტომობილო ქარხნების, დაზგათმშენებელი და მანქანათმშენებელი ქარხნების შესახებ. კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხანა წელს ბაზარზე გამოუშვებს დაახლოებით 200.000 მანეთის ფართო მოხმარების საგნებს — ხორცის საკეპ ხელცულებს, სამალებს, ბოქლომებს და სხვ. ავჭალის ფოლადთუჯის სამსხმელო ქარხანაში შეუდგნენ თუჯის ღუმელების გამოშვებას, სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების ქარხანაში — ნახშირით გასახურებელი უთოების გამოშვებას, მაგრამ ეს ყოველივე არ კმარა, საჭიროა ასორტიმენტის გაფართოება, ნაწარმის ხარისხის გაუმჯობესებისათვის მეტი ზრუნვა.

სახელმწიფოს, მთელი საბჭოთა ხალხის ინტერესები მოითხოვს, რომ მძიმე მრეწველობის საწარმოებმა გაადიდონ მოსახლეობისათვის საჭირო საქონლის წარმოება. ამისათვის საჭიროა ყველგან, სადაც ამის შესაძლებლობაა და წარმოების ნარჩენთა მარაგი დიდია, შექმნან ფართო მოხმარების საქონლის საამქროები, განამტკიცონ ეს საამქროები კვალიფიციური მუშებით, საუკეთესო ოსტატებით და აღჭურვონ გაუმჯობესებული ტექნიკით. ფართო მოხმარების საგნების ხარისხით უაღრესი დაინტერესება უნდა გამოიჩინონ საწარმოთა სამეურნეო ხელმძღვანელებმა, ვინაიდან ხალხში საქარხნო მარკის ავტორიტეტის ზრდა ბევრად არის დამოკიდებული ფართო მოხმარების საგნების ხარისხზე. კომუნისტების ავანგარდულმა როლმა წარმოებაში თავისი უდიდესი მნიშვნელობა უნდა გვიჩვენოს ფართო მოხმარების საგნების საამქროთა მუშაობაში. ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ დარაზმავს ადგილობრივი პარტიული ორგანიზაცია საწარმოში მომუშავე კომუნისტებს, რამდენად უზრუნველყოფენ საწარმოს სამეურნეო, პარტიული და პროფკავშირული ხელმძღვანელები მასების ინიციატივის ფართოდ გამოყენებას.

ფართო მოხმარების საამქრო მნიშვნელოვანი რგოლია სახალხო მოხმარების საქონლის სიუხვისათვის ბრძოლაში, წარმოების ფარული რეზერვების გამოვლინებასა და გამოყენებაში. ამ რგოლს მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ და მეტი დახმარება გაუწიონ მრეწველობის საწარმოთა ხელმძღვანელებმა.

ჩვენს დიად სამშობლოში

★ ★ ★

ტრაქტორის მთლიანსხმული თვლები

ვლადიმირი, 3 დეკემბერი. (საკდესი). ვლადიმირის სატრაქტორო ქარხნის ზუსტი სხმულის განყოფილების უფროსმა ი. სტარიკოვმა შემოიღო ტრაქტორის ასაწყობი წინა თვლების ნაცვლად მთლიანსხმული თვლები.

მთლიანსხმულთვლებიანი ტრაქტორის გამოცდამ, რაც მთავარი კონსტრუქტორის განყოფილების მიერ წარმოებდა უსწორო და ქვიანი გრუნტის საველე პირობებში, დადებითი შედეგები გამოიღო.

წინანდელი კონსტრუქციის ასაწყობი თვლები, რომლებიც 13 დეტალისაგან შედგებოდა, თუ არ ვიანგარიშებთ მოქლონებს, ჭანჭიკებს, საყელურებსა და ანჭრებს, მექანიკურ დამუშავებასა და აწყობას მოითხოვდა. ახალი კონსტრუქცია შესაძლებელს ხდის დიდძალი ჩარხის განთავისუფლებას. თვლების დამზადების შრომატევადობა ერთი ორად და უფრო მეტად მცირდება. თვითეული ტრაქტორზე იზოგება 60 კილოგრამამდე ფოლადის ნაგლინი.

ზრუნვა მექანიზატორთა ყოფაცხოვრებისათვის

ვალკი (ხარკოვის ოლქი), 3 დეკემბერი. (საკდესი). ვალკის მტს-ში საექსპლოატაციოდ გადასცეს მექანიზატორთა საერთო საცხოვრებლის ლამაზი ორსართულიანი შენობა. აქ დაბინავდება ორმოცდაათი ტრაქტორისტი, კომბაინერი, სარემონტო სახელოსნოების მუშა. ოთახები კარგად მოწყობილია. სპეციალური ოთახები განკუთვნილია სასადილოსათვის, წითელი კუთხისათვის. მექანიზატორებს მომსახურებას უწევს ბიბლიოთეკა, რომელშიც სამი ათასზე მეტი წიგნია.

მომავალ წელს აქ განზრახულია აშენდეს კლუბი, სასწავლო კომბინატი, 9 საცხოვრებელი სახლი მტს-ის სპეციალისტებისათვის.

მინდვრის სამუშაოთა პერიოდში მექანიზატორთა საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად სატრაქტორო ბრიგადებს გამოუყვეს ნაკვეთები საველე ბანაკებისათვის. ნაკვეთები შემოგრეულია ხეხილითა და დეკორაციული ხეებით. სტალინის სახელობის კოლმეურნეობისა და კოლმეურნეობა „ნოვაია ჟიზნის“ საველე ბანაკებში წელს აშენდა სახლები. თვითეულ სახლშია სასადილო, წითელი კუთხე, დასასვენებელი ოთახები. ასეთივე სახლები აშენდება იმ დანარჩენი კოლმეურნეობების საველე ბანაკებში, რომლებსაც მომსახურებას უწევს მტს-ი.

საქართველოს მსახიობთა გასვლები ლენინგრადში

ლენინგრადი, 5 დეკემბერი. (საკდესი). დღეს აქ დაიწყო საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის გასტროლები. ქართველ მსახიობთა პირველი გამოსვლა გაიმართა ფილარმონიის დიდ დარბაზში. შესრულებულ იქნა ეროვნული ცეკვები და სიმღერები, საბჭოთა კომპოზიტორების ნაწარმოებნი.

კონცერტმა წარმატებით ჩაიარა. ლენინგრადელები გულთბილად მიესალმნენ მოძმე რესპუბლიკის ხელოვნების მოღვაწეებს.

მოსკოვის ოლქის კოლმეურნეობათა სტუმრები

მოსკოვის ოლქის მოწინავე სასოფლო-სამეურნეო არტელებში ყოველდღე მოდიან კოლმეურნეთა ექსკურსიები ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა რაიონებიდან.

ამ დღეებში მოსკოვის ოლქში სტუმრად არის ბაშკირეთის ასსრ სასოფლო-სამეურნეო არტელის თავმჯდომარეთა დიდი ჯგუფი. ისინი იყვნენ უხტომსკის რაიონის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობაში, სადაც გაეცნენ ღორების გასუქების ორგანიზაციას, რძის დიდი წველადობის მიღებას, ბოსტნეულის ჩითილის გამოსაყვანი ტორფნეშომპალიანი ქოთნების დამზადების ტექნიკას. ლენინის რაიონის ვლადიმერ ილიჩის სახელობის კოლმეურნეობაში, რომელიც განთქმულია რძის დიდი წველადობით, ბაშკირეთიდან ჩამოსულმა სტუმრებმა შეისწავლეს საუკეთესო მწველავების მუშაობის ხერხები, პირუტყვისათვის საკვების შემზადების მექანიზაცია.

ხუთი დღე იყვნენ მოსკოვის ოლქში ბრიანსკის ოლქის კოლმეურნეობათა 150 თავმჯდომარე და მტს-თა 40 დირექტორი. ისინი იყვნენ მთელ რიგ სასოფლო-სამეურნეო არტელებში, სადაც მათ გააცნეს საუკეთესო მეცხოველეთა მუშაობის მეთოდები, კარტოფილისა და ბოსტნეულის მოყვანის მექანიზაცია. მოლდავეთის სსრ კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებმა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტებმა ინტერესით დაათვალიერეს უხტომსკის რაიონის მესამე ხუთწლიდის სახელობის კოლმეურნეობის სათბური, რომელიც თბება მეზობელი ქარხნის ნამუშევარი ორთქლით. სხვა კოლმეურნეობებში ექსკურსანტები გაეცნენ სხვადასხვა ტიპის სათბურებს და მათი გათბობის ხერხებს, იყვნენ გრიბოვსკის ბოსტნეულის სასელექციო საცდელ სადგურში, საბჭოთა კავშირის მეცხოველეობის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში.

უკანასკნელი ორნახევარი თვის განმავლობაში მოსკოვის ოლქის მეურნეობებში ჩამოვიდა რამდენიმე ათასი ექსკურსანტი უკრაინის, საქართველოს, ყაზახეთის, ბალტიისპირეთის რესპუბლიკების, ციმბირისა და ცენტრალური ოლქების კოლმეურნეობებიდან. (საკდესი).

მოსკოვს ჩამოვიდნენ მშვიდობის მსოფლიო საბჭოს სესიის მონაწილენი

5 დეკემბერს მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის მოწვევით მოსკოვს ჩამოვიდნენ მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ვენის სესიის მონაწილენი — ჩინეთის, ინდოეთის, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის, ვიეტნამის, დასავლეთ გერმანიის, არგენტინის, ჩილის, ბრაზილიის, იაპონიის დელეგაციათა წევრები.

სტუმრების — მშვიდობის მომხრეთა მოძრაობის აქტიური მონაწილეების შესახვედრად კიევის ვოგზალში მივიდნენ მოსკოვის საზოგადოებრივი ორგანიზაციების, მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის, უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საკავშირო საზოგადოების, საკავშირო პროფსაბჭოს, სსრ კავშირის საბჭოთა მწერლების კავშირის მრავალი წარმომადგენელი, საწარმოთა მოწინავეები, მეცნიერებისა და ხელოვნების მოღვაწეები.

საბჭოთა საზოგადოებრიობის სახელით ჩამოსულთ გულითადად მიესალმა მწერალი ა. სოფრონოვი.

თავიანთი დელეგაციების დავალებით გამოვიდნენ ჩინელი მწერალი მაო დუნი, ჩილის დეპუტატთა პალატის თავმჯდომარე ბალტასარ კასტრო, ინდოელი საზოგადო მოღვაწე გოვინდ სახაი, ვიეტნამის მშვიდობის დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ლე დინ ტამი. ორატორებმა რწმენა გამოთქვეს, რომ საბჭოთა კავშირში დელეგაციების ყოფნა ხელს შეუწყობს ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის განმტკიცების საქმეს.

ჩინეთის დელეგაციის წარმომადგენელმა მრავალმილიონიანი ჩინელი ხალხის სახელით სალამი გადასცა მოსკოველებს და მთელ საბჭოთა ხალხს.

ინდოელმა დელეგატმა გოვინდ სახაიმ განაცხადა, რომ იგი და მისი მეგობრები საბჭოთა კავშირის დედაქალაქში ჩამოვიდნენ იმედითა და ენთუზიაზმით გამსჭვალულნი. ჩვენ, თქვა მან, ჩამოვედით ქალაქში, რომელსაც სამართლიანად შეიძლება ვუწოდოთ მშვიდობისა და სოციალისტურ გარდაქმნათა ციტადელი. (საკდესი).

რიგის ახალშენებანი

რიგა. (საკდესი). რიგის მთავარი არქიტექტორის სამმართველოში ნახავთ ლატვიის დედაქალაქის რუკას, რომელზეც აღნიშნულია ყველა ახალშენება. ქალაქის თითქმის ყოველ რაიონში აგებენ სამრეწველო საწარმოთა კორპუსებს, მრავალსართულიან საცხოვრებელ სახლებს, კულტურულ - საგანმანათლებლო დაწესებულებათა შენობებს.

მოსკოვის რაიონში შენდება ლატვიის პირველი მაღალი შენობა — რესპუბლიკის კოლმეურნის სახლი. თხუთმეტსართულიანი სასახლე შეიცავს ლატვიის დედაქალაქის პანორამას. შენობა გარედან მოპირკეთებული იქნება მარმარილოს და კერამიკული ფილებით და მოხატული ლატვიური ხალხური ორნამენტით, მოოქროვილ შპილს დაადგვენებს ხუთქიმიანი ვარსკვლავი.

მშენებელთა კოლექტივმა იკისრა სოციალისტური ვალდებულება — ხუთწლედის ბოლოსთვის დაამთავროს მაღალი შენობის აგება. ამჟამად აგებენ შენობის მეცხრე სართულს.

ხუთწლიანი გეგმით ქალაქში შენდება თბოელექტროცენტრალი, მნიშვნელოვნად ფართოვდება რიგის საზღვაო ნავსადგური, დაიწყო ახალი ავტოსაჭანანო ხიდის აგება მდინარე დაუგავაზე. ქალაქის ცენტრში მთავრდება დიდი სასტუმროს „რიგის“ მშენებლობა. დვინსაგაღმა რაიონში მთავრდება სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის ახალი შენობის მოპირკეთება სამფეროვანი ბუთა. ქალაქის მეორე მხარეს, პროლეტარულ რაიონში, ჩაღდება სამუშაოები ქარხანა „ვეფის“ კულტურის სასახლის სამშენებლო მოედანზე. სტალინის რაიონში შენდება საშუალო სკოლის ახალი შენობა, სბავშვო ბაღები და ბაგები. მილგრავისში, ბიკერნიეკში, ბოლდერაიაში, დაუგავის წინათ უდაბური კუნძულებზე შენდება გემთმშენებელთა, მანქანათმშენებელთა, რკინიგზელთა, ფეიქართა, მესილიკატეთა ახალი კეთილმოწყობილი დასახები.

ქალაქის განაპირა უბნებში ფართოდ განვითარებულია ინდივიდუალური საბინაო მშენებლობა. ამჟამად სამრეწველო საწარმოთა და დაწესებულებათა მუშები და მოსამსახურეები აშენებენ 1.300-ზე მეტ საკუთარ სახლს. თვითეულ მათგანში არის ოთხი-ხუთი ოთახი, სამზარეული, საბაზანო და სხვ. სახელმწიფო დიდ ფულად და ტექნიკურ დახმარებას უწევს ინდივიდუალურ მშენებლებს. ამ უკანასკნელ წლებში რიგაში შექმნილია ბევრი ახალი პარკი, სკვერი და ყვავილნარი. ამჟამად ჩაღდება ქალაქის ცენტრალური მოედნის — კომუნართა მოედნის რეკონსტრუქციის დიდი სამუშაოები. აქ დაირგვება ცხრა ათასამდე ხე და ბუჩქი.

წელს რიგის სამრეწველო, კულტურულ - საყოფაცხოვრებო და საბინაო მშენებლობისა და ტექნიკური კეთილმოწყობისათვის დაიხარჯება 280 მილიონი მანეთი.

★★



სტალინგრადის სატრაქტორო ქარხნის კოლექტივმა ვალდებულება იკისრა ვადამდე შეასრულოს ტრაქტორების წარმოების 1953 წლის გეგმა, ერთი მილიონი მანეთის გადაჭარბებით შეასრულოს სათადარიგო ნაწილების გამოშვების წლიური დავალება, IV კვარტალში 30 პროცენტით შეამციროს წუნით გამოწვეული დანაკარგი, გადაჭარბებით შეასრულოს შრომის ნაყოფიერების ზრდის დავალება. **სურათზე:** „დტ-54“ დიზელიანი ტრაქტორების გაგზავნა სტალინგრადის ფ. ე. ძერჟინსკის სახელობის სატრაქტორო ქარხნიდან მტს-ებში.

ფოტო ს. კროპივნიცკისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა
აკადემიკოს კ. ი. სკრიაბინის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

მეცნიერების დარგში თვალსაჩინო დამსახურებისათვის, დაბადების 75 წლისთავთან დაკავშირებით, აკადემიკოსი კონსტანტინე ივანეს-ძე **სკრიაბინი** დაჯილდოებულ იქნას **ლენინის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ვოროშილოვი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. პეგოვი.

მოსკოვი, კრემლი. 1953 წ. 6 დეკემბერი.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა
მწერალ ა. ლ. კოპტელოვის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

მწერალ ა. ლ. კოპტელოვის დაბადების ორმოცდაათი წლისთავის გამო და მხატვრული ლიტერატურის დარგში მისი დამსახურების აღსანიშნავად ათანასეს ლაზარეს-ძე **კოპტელოვი** დაჯილდოებულ იქნას **შრომის წითელი დროშის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ვოროშილოვი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. პეგოვი.

მოსკოვი, კრემლი. 1953 წ. 4 დეკემბერი.

სახალხო დემოკრატიის ქვეყნებიდან

ბულგარეთის დედაქალაქის მრეწველობა

სოფია, 4 დეკემბერი. (საკდესი). უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში სოფიაში აიგო მთელი რიგი ახალი დიდი საწარმოები: კ. ე. ვოროშილოვის სახელობის ელექტროჭარხანა, ვ. კოლაროვის სახელობის ელექტროკაბელის ქარხანა, ვილკო ჩერვენკოვის სახელობის ქარხანა, ერნსტ ტელმანის სახელობის ძაფსართავი ფაბრიკა და სხვ.

როგორც ბულგარეთის დეპეშათა სააგენტო იუწყება, 1948-დან 1952 წლამდე სოფიის სამრეწველო საწარმოთა საერთო პროდუქციის მოცულობა 381 პროცენტით გადიდდა. ბეგრმა საწარმომ რამდენჯერმე გაადიდა წარმოების მოცულობა. დიმიტრი ბლაგოევის სახელობის სპილენძის ნაკეთობათა ქარხანა ახლა 2,5-ჯერ მეტ პროდუქციას იძლევა, ვიდრე 1948 წელს, სახელმწიფო სამრეწველო საწარმო „რუდა“ — 6-ჯერ მეტსა და სხვ. სოფიის ლითონდამმუშავებელმა საწარმოებმა უკანასკნელი 4 წლის განმავლობაში 123 პროცენტით გაადიდეს წარმოება.

1949 წელთან შედარებით სოფიის საფეიქრო მრეწველობამ 1952 წელს ერთიორად გაადიდა პროდუქციის გამოშვება. გემოკვების მრეწველობა ამჟამად უშვებს 177 პროცენტით მეტ კვების პროდუქტებს, ვიდრე 1949 წელს.

სწრაფად ვითარდება მანქანათმშენებლობა. 1952 წელს სოფიის მანქანათმშენებელმა საწარმოებმა გამოუშვეს 149 პროცენტით მეტი პროდუქცია, ვიდრე 1949 წელს.

ამჟამად ბულგარეთის დედაქალაქში რამდენიმე ახალი სამრეწველო საწარმო შენდება.

მეჩაიეობის განვითარება ჩინეთში

პეკინი. ხუნანის პროვინცია ჩინეთის მეჩაიეობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რაიონია. აქ ჩაი მოჰყავს 80 მაზრის (სულ პროვინციაში 84 მაზრაა) გლეხობას. ჩინეთის განთავისუფლებამდე, იუწყება გაზეთი „სინხუანხაო“, გომინდანელთა მტაცებლური ბატონობის შედეგად ჩაის მოსავალი წლითიწლობით მცირდებოდა. 1949 წელს ჩაის მოსავალი მთელ პროვინციაში 194.500 პიკულამდე დაეცა. ჩაის პლანტაციების ფართობი 3 მილიონი მუდან 400 ათას მუმდე (1 მუ უდრის 0,06-ჰექტარს) შემცირდა.

განთავისუფლების შემდგომ წლებში სახალხო მთავრობის მზრუნველობისა და დახმარების მეოხებით მეჩაიე გლეხებმა ენერგიულად მოკიდეს ხელი პროვინციის ჩაის მეურნეობის აღდგენას და უკვე მიაღწიეს წარმატებებს. წელს, არსებული მონაცემებით, ხუნანის პროვინციის ჩაის პლანტაციების ფართობმა 900 ათას მუს მიაღწია, ხოლო ჩაის მოსავალმა 350 ათას პიკულს გადააჭარბა. ამ უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა აგრეთვე ჩაის ფოთლის ხარისხი.

ჩინეთის მშრომელთა საწარმოო წარმატებანი

პეკინი, 4 დეკემბერი. (საკდესი). გაზეთი „შენიანფიბაო“ იუწყება ქალაქ შენიანის (მუკდენის) ქარხნებისა და ფაბრიკების მუშათა და მოსამსახურეთა საწარმოო წარმატებებს. ნოემბრის დამლევს შენიანის 48 უმნიშვნელოვანესმა სახელმწიფო საწარმომ ვადამდე დაამთავრა წლიური საწარმოო გეგმის შესრულება. ქალაქის მრავალი ახალშენების მშენებელ მუშათა კოლექტივებმა 20 ნოემბრისათვის 95,7 პროცენტით შეასრულეს მშენებლობის წლიური გეგმა. ქალაქის მოსახლეობის სამრეწველო და სასურსათო საქონლით მომარაგების გაუმჯობესების საქმეში დიდ წარმატებებს მიაღწიეს სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის ქსელის მუშაკებმა.

შრომის დაცვა რუმინეთის საწარმოებში

ბუქარესტი, 7 დეკემბერი. (საკდესი). რუმინეთის საწარმოებში დიდი მუშაობა ხორციელდება შრომის დასაცავად. წლითიწლობით დიდდება ასიგნობანი ამ მიზნით. მარტო მიმდინარე წლის პირველ ნახევარში მეშახტეთა შრომის დაცვის ღონისძიებებისათვის დახარჯულია 20 მილიონზე მეტი ლეი. შრომის დაცვის ფონდები ქიმიურ მრეწველობაში წელს 20 პროცენტით გადიდდა 1952 წელთან შედარებით.

საწარმოებში ფართოდ ინერგება უსაშიშრობის ტექნიკის წესები. ამისათვის პერიოდულად ეწყობა მუშების ინსტრუქტაჟი, მასობრივი ტირაჟით გამოდის სპეციალური ბროშურები, ამართება გამოფენები და სხვ.

შრომის დაცვის მუშაობაში აქტიურ მონაწილეობას იღებენ მუშები, ტექნიკოსები და ინჟინრები. მაგალითად, შარშან მეტალურგიული და მანქანათმშენებელი მრეწველობის საწარმოებში დაინერგა ასზე მეტი რაციონალიზატორული წინადადება, რომელთა მიზანია შრომის დაცვის გაუმჯობესება. წელს მთელ რიგ საწარმოებში მოეწყო საზოგადოებრივი დათვალიერება.

პრაღაში გაიხსნა კლემენტ გოტვალდის მავზოლეუმი

პრაღა, 5 დეკემბერი. (საკდესი). დღეს პრაღაში გაიხსნა კლემენტ გოტვალდის მავზოლეუმი. გახსნას დესწრნენ ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნები, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრები, მინისტრები პრემიერ-მინისტრ ვილიამ შიროკის მეთაურობით, აგრეთვე სსრ კავშირის საქმეთა რწმუნებული ჩეხოსლოვაკიაში ნ. ვ. ფირიუბინი და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების საელჩოებისა და მისიების მეთაურები.

პარტიული ცხოვრება

სავაჭრო დაწესებულებების თავმინებებული პარტიული ორგანიზაცია

რუსთავის სავაჭრო ქსელში სერიოზული ნაკლოვანებებია. „რუსთავვაჭრობის“ ხელმძღვანელები გატაცებული არიან საქონელბრუნვის გეგმის შესრულების საერთო მაჩვენებლებით და სუსტად იბრძვიან მოსახლეობის გაზრდილ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის. ჯერ კიდევ არის სავაჭრო ქსელში საქონლის მოუფიქრებლად, არათანაბრად განაწილების მანკიერი პრაქტიკა. ცუდად მუშაობს საზოგადოებრივი კვების ქსელი, სადაც კერძების ასორტიმენტი ერთფეროვანია, დაბალია საღილების ხარისხიც. ჯეროვან სიმაღლეზე არა დგას ვაჭრობის კულტურა. ხშირია მომხმარებელთა ზომა-წონაში მოტყუების შემთხვევები.

როგორ იბრძვის „რუსთავვაჭრობის“ პარტიული ორგანიზაცია დასახელებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად? პასუხი ერთია — ძალიან ცუდად.

მიმდინარე წლის მაისიდან დღემდე „რუსთავვაჭრობის“ პარტიულ ორგანიზაციაში კრება მოწვეულია ექვსჯერ, ბიუროს სხდომა — სამჯერ. პარტიულ კრებებზე განიხილავდნენ მხოლოდ და მხოლოდ პარტიის საქალაქო კომიტეტის მიერ რეკომენდებულ საკითხებს. კომუნისტთა მსჯელობის საგნად არასოდეს არ გამხდარა ისეთი საკითხები, როგორიც არის „რუსთავვაჭრობის“ საშეურნეო საქმიანობა, სავაჭრო ქსელის მუშაკთა შორის სოციალისტური შეჯიბრების გაშლა, სააგიტაციო-მასობრივი მუშაობა, პარტიული სწავლება, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციებისადმი პარტიული ხელმძღვანელობა, მიღებულ დადგენილებათა შესრულების შემოწმება და სხვ.

კრებებზე განსახილველ საკითხებს წინასწარ არ ამზადებენ. ამ საქმეში ჩაბმული არ არის პარტიული აქტივი, მაშინ როცა „რუსთავვაჭრობის“ პარტორგანიზაცია 70-ზე მეტ კომუნისტს აერთიანებს. კომუნისტთა უმეტესობა პარტიულ კრებებს მხოლოდ მოვალეობის მოხდის მიზნით ესწრება.

„რუსთავვაჭრობის“ პარტიულ ორგანიზაციაში ახალგაზრდა კომუნისტებთან მუშაობა თითქმის ჩაშლილია. აქ პარტიის წევრობის 7 სტაჟგადაცილებული კანდიდატი ირიცხება. ამათგან უმეტესობას არა აქვს პარტიული დავალება. ახალგაზრდა კომუნისტებისადმი ასეთი უყურადღებობის შედეგად წელს აქ პარტიის წევრობის არც ერთი კანდიდატი არ მიუღიათ სკკპ წევრად.

პარტიული კრების ოქმები იმდენად დაუდევრად არის გაფორმებული, რომ ბევრგან აზრის ამოკითხვაც კი ძნელდება. ზოგან არ არის კრების თავმჯდომარისა და მდივნის ხელმოწერა.

პარტიული ორგანიზაცია მთლიანად მოწყვეტილია უპარტიო მასებს. ამას ისიც მოწმობს, რომ წელს არც ერთხელ არ მოუწვევიათ ღია პარტიული კრება. პარტბიუროო ფორმალურად უდგება კომუნისტთა შორის პარტიული დავალების განაწილებას, არ ამოწმებს დავალებათა შესრულებას. კომუნისტთა ნახევარზე მეტს არავითარი დავალება არა აქვს. 17 კომუნისტი აგიტატორად არის გამოყოფილი. ზაგრამ არც ერთ მათგანს, კერძოდ, მ. დალაქიშვილს, ზ. ვადაჭკორიას, ბ. თავაძეს, ნ. ნიკოლაევას, ი. გურინსა და სხვებს ჯერ საუბარი არ მოუწყვიათ. წელს ქალაქის სავაჭრო ქსელის მუშაკებისათვის მხოლოდ ორჯერ წაიკითხეს ლექცია, მაშინაც დასწრება მეტად მცირე იყო. ორ თვეზე მეტია არ გამოსულა კედლის გაზეთი „საბჭოთა ვაჭრობისათვის“.

არც პოლიტიკური განათლების დარგშია ყველაფერი რიგზე. არის პოლიტსკოლისა და წრის მსმენელთა მიერ მეცადინეობის გაცდენის შემთხვევები.

მასობრივ-პოლიტიკური და აღმზრდელობითი მუშაობის სისუსტით უნდა აიხსნას, რომ ვაჭრობის წესების დამრღვევთა შორის კომუნისტებსაც ვხვდებით. მაგალითად, ამას წინათ საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროსა და რუსთავის საქალაქო საბჭოს აღმასკომის მუშაკებმა სავაჭრო წესების უხეშად დარღვევაში შეაჭრნიეს კომუნისტები — სასადილოს გამგე ა. სხირტლაძე, ქალაქის რესტორანის დირექტორი გ. ჟღერია, პავილიონის გამგე კ. ქელეხსაევი, მაღაზიის გამგე მ. მოროზოვა, მებუფეტე გ. ედიგაროვი და სხვები.

„რუსთავვაჭრობის“ პარტიული ორგანიზაციის სერიოზული ნაკლოვანებანი იმის შედეგია, რომ პარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტი ყურადღებას არ აქცევს აღნიშნულ ორგანიზაციას. ამას ისიც მოწმობს, რომ საქალაქო კომიტეტში შემოწმებისას არ აღმოჩნდა „რუსთავვაჭრობის“ პარტორგანიზაციის კრების ოქმები მიმდინარე წლის მაისიდან დღემდე. როგორც პარტბიუროს მდივანი ვ. ჯობაძე აცხადებს, მან არ იცოდა, თუ საჭირო იყო კრების ოქმების ასლების საქალაქო კომიტეტში წარდგენა.

ოქტომბრის შუა რიცხვებიდან პარტიის საქალაქო კომიტეტმა ვ. ჯობაძე სხვა ორგანიზაციაში გადაიყვანა სამუშაოდ. დღემდე არ აურჩევიათ „რუსთავვაჭრობის“ პარტბიუროს ახალი მდივანი. მაგრამ მარტო პარტბიუროს მდივანი, რაც უნდა ენერგიული მუშაკი იყოს, საქმეს ვერ გამოასწორებს, თუ პარტიის საქალაქო კომიტეტმა კვლავ ასეთი დაუდევრობა გამოიჩინა ქალაქის სავაჭრო ქსელის პირველადი პარტიული ორგანიზაციისადმი ხელმძღვანელობის საქმეში.

გ. გელაშვილი,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

თბილისი. საპნის ქარხანა. სურათზე: ლაბორანტი ვ. ფიჩხაია და კონტროლიორი ვ. ვაშაკიძე ამოწმებენ საპნის ხარისხს ყუთებში ჩაწყობის წინ.

ფოტო შ. გოქაძისა.

კოლმეურნეები სახლებს იშენებენ

ტყიბული. (საკ. კორ.). ყოველწლიურად უმჯობესდება რაიონის კოლმეურნეთა ცხოვრების პირობები. ჩაი, ვაზი, ხეხილი, სიმინდი და სხვა კულტურები კოლმეურნეებს სულ უფრო მეტ შემოსავალს აძლევს.

რაიონის ბევრმა მოწინავე კოლმეურნემ წელს კეთილმოწყობილი საცხოვრებელი სახლი აიშენა. ბუეთის კანგოვიჩის სახელობის კოლმეურნეობის სტახანოველი წევრის მ. გაბრიაძის ოჯახმა წელს კოლმეურნეობიდან 14 ათასი მანეთი, 6 ტონა სიმინდი და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები მიიღო. მან ახლახან აიშენა კარგი სახლი. ახალი სახლი აიშენა აგრეთვე ამავე კოლმეურნეობის მეჩაიე ქალმა მ. კუბლაშვილმა.

სახლები აიშენეს აგრეთვე ცუცხვათის კოლმეურნეობის წევრმა გ. ჭელიშვილმა, გურნის ვეტუბნის ზოოტექნიკოსმა ს. ჩიქოვანმა, ახალდაბის კოლმეურნეობის წევრმა რ. კუბლაშვილმა და სხვებმა.

საერაიონთაშორისო ვეტერინარული აუთიაქი

თელავი. (საკ. კორ.). საქმოოვეტმომარაგების რესპუბლიკური კანტორის თელავის ვეტერინარული აფთიაქი სამ რაიონს — თელავის, ახმეტისა და ყვარლის რაიონებს ემსახურება. ამ რაიონების კოლმეურნეობები აფთიაქში იღებენ მედიკამენტებს პირუტყვისათვის, სადეზინფექციო საშუალებებს, ქირურგიულ შესახვევ მასალას, ზოოტექნიკურ ინვენტარს და სხვ. წელს აფთიაქმა 164.000 მანეთის მედიკამენტები და ინვენტარი გაყიდა.

გამოცდილების ტრიბუნიდან

როგორ მოვიყვანე კარტოფილის უხვი მოსავალი

ორი წელია, რაც სოფელ ჯავახის (დმანისის რაიონი) XVII პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობის მესამე ბრიგადას ვხელმძღვანელობ. თუ წელს ჩვენმა კოლმეურნეობამ კარტოფილის უხვი მოსავალი მოიყვანა, ეს მესამე ბრიგადის წევრთა ენერგიული მუშაობის ნაყოფიც არის. კოლმეურნეობამ 49 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 170 ცენტნერი კარტოფილი მიიღო, ჩემმა ბრიგადამ კი 12 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე — 180 ცენტნერი.

რით მივაღწიეთ ამ წარმატებას? იმით, რომ ბრიგადის ყველა წევრი თანაბრად დაინტერესებულია კარტოფილის კულტურით, განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ აგროტექნიკურ ღონისძიებათა განხორციელებას, შრომის მოწესრიგებას და დისციპლინის განმტკიცებას.

ბრიგადა მთელი წლის განმავლობაში თანმიმდევრულად ახორციელებდა კარტოფილის მოყვანის აგროტექნიკის მთელ კომპლექსს. კარგად გვაქვს შეგნებული ის გარემოება, რომ კულტურათა მიზანშეწონილი მორიგეობა უხვი მოსავლის მიღების აუცილებელი პირობაა, ამასთან დაავადებათა და მავნებელთა გავრცელების აღკვეთის ერთ-ერთი საშუალებაა.

კარტოფილის საუკეთესო წინამორბედებად ითვლებიან საშემოდგომო ხორბალი და მრავალწლიანი ბალახები. საკარტოფილე ნაკვეთს მოსავლის აღებისთანავე ვამუშავებთ. უწინარეს ყოვლისა, ვატარებთ ნაწვერალის აოშვას, შემდეგ კი — ნიადაგის ხვნას 25-27 სანტიმეტრ სიღრმეზე. ხვნის წინ ჰექტარზე შეგვაქვს 30-40 ტონა ნაკელი.

გაზაფხულზე ვაწარმოებთ ნაკვეთის გადახვნას 13 სანტიმეტრის სიღრმეზე და ვფარცხავთ „ზიგზაგით“, რითაც მთავრდება ნიადაგის მომზადება კარტოფილის დასარგავად. დარგვის წინ თვითეულ ჰექტარ ნიადაგზე ვაკეთებთ 50.000 ბუდნას, რომლებშიც შეგვაქვს გადამწვარი ნაკელი. ჰექტარზე ვრგავთ 2,5 ტონა მაღალხარისხოვან კარტოფილს. თვითეული ტუბერის წონა 80-100 გრამია.

როცა მცენარე აღმოცენდება და სამ ნამდვილ ფოთოლს გაიკეთებს, ნიადაგს გაფხვიერების მიზნით ვაზიგზაგებთ.

დიდ ეფექტს იძლევა კარტოფილის დამატებითი გამოკვება წუნწუხით. ამ ღონისძიებას სისტემატურად ვახორციელებთ. ნათესებს სამჯერ ვთოხნით. პირველად — აპრილში, მეორედ და მესამედ — მაისში, ყვავილობამდე ნათესებს სამჯერ ვრწყავთ, ყვავილობის შემდეგ კი — მეოთხედ.

მოსავლის აღებას ვიწყებთ მაშინ, როცა მცენარე ვეგეტაციას დაამთავრებს. დმანისის რაიონში ეს პერიოდი სექტემბრის შუა რიცხვებში დგება. წელს კარტოფილის ამოღება 11 სექტემბერს დავიწყეთ და მოკლე დროში დავამთავრეთ.

მიღწეულით არ დავკმაყოფილდებით, შემდგომში უფრო გავზრდით კარტოფილის მოსავლიანობას, პირნათლად შევასრულებთ მშობლიური კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის დადგენილებას.

გ. ოქრიაშვილი,
დმანისის რაიონის სოფელ ჯავახის XVII პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობის მესამე ბრიგადის ბრიგადირი.

პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის პროპაგანდის მაღალი დონისათვის

სტალინირი. (საკ. კორ.). შედგა საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების სამხრეთ ოსეთის საოლქო კონფერენცია.

კონფერენციაზე აღინიშნა, რომ საზოგადოების სამხრეთ ოსეთის საოლქო განყოფილებას მასებში პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის შეტანის ფართო შესაძლებლობანი აქვს, ეს კი ხელს შეუწყობს მოსახლეობის კომუნისტურად აღზრდის საქმეს. მომხსენებელმა (საზოგადოების საოლქო განყოფილების თავმჯდომარე ვ. სანაკოევი) და მოკამათეებმა მიუთითეს, რომ საზოგადოების მუშაობაში სერიოზული ნაკლოვანებებია. განსაკუთრებით არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ საზოგადოების ზნაურისა და ჯავის რაიონული განყოფილებები. მათ დღემდე თავიანთი წევრების რაოდენობისა და ვინაობის დაზუსტებაც ვერ უზრუნველყვეს.

საზოგადოების წევრთა ერთი ნაწილი აქტიურად არ მონაწილეობს ლექციური პროპაგანდის ფართოდ გაჩაღებაში, ხოლო ზოგიერთი წევრი სრულიად უგულებელყოფს საზოგადოების საქმიანობაში თავის მონაწილეობას. ამ მიზეზით ოლქში საზოგადოების ხაზით წელს გეგმით გათვალისწინებული 1.700 ლექციის ნაცვლად წაკითხულია მხოლოდ 604 ლექცია. საზოგადოების მუშაობაში განსაკუთრებით თვალსაჩინო ნაკლოვანება ის არის, რომ მან დღემდე ვერ უზრუნველყო თავისი ძალებით საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის დიდმნიშვნელოვან გადაწყვეტილებათა პროპაგანდის სათანადოდ გაჩაღება.

საზოგადოების საოლქო განყოფილების სექციებმა ვერ აამაღლეს მუშაობა ახალ მოთხოვნათა დონემდე. საბუნებისმეტყველო სექცია, რომელსაც მეტად სასარგებლო და საინტერესო მუშაობის გაჩაღება შეუძლია მოწინავე საბჭოთა აგრობიოლოგიური მეცნიერების პოპულარიზაციისათვის, თვითდინებით მუშაობს. ბევრი ლექტორი ლექციებს კითხულობს ზერელედ, არ იყენებს თვალსაჩინოებას, თემას არ უკავშირებს ადგილობრივ ცხოვრებას.

კონფერენციამ საზოგადოების მუშაობის გადაჭრით გაუმჯობესებისათვის დასახა ღონისძიებანი და აირჩია საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების სამხრეთ ოსეთის განყოფილების ახალი ხელმძღვანელობა.

საბჭოთა პატრიოტიზმის ინტერნაციონალური ხასიათი

საბჭოთა ხალხმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ააშენა სოციალიზმი ჩვენს ქვეყანაში და ძლევამოსილად მიდის წინ — კომუნიზმისაკენ. ჩვენი ქვეყნის წარმატებების, მისი ძლიერებისა და უძლეველობის წყაროებია საბჭოთა ხალხის მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა, სსრ კავშირის ხალხთა ურღვევი მეგობრობა, ცხოველმყოფელი საბჭოთა პატრიოტიზმი. კომუნისტურმა პარტიამ თავისი ბრძნული ხელმძღვანელობით შეძლო საბჭოთა ხალხის აღზრდა პროლეტარული ინტერნაციონალიზმისა და საბჭოთა პატრიოტიზმის სულისკვეთებით. საბჭოთა ხალხის უსაზღვრო სიყვარული სოციალისტური სამშობლოსადმი წარმოადგენს იმ უძლეველ ძალას, რომელიც ფუშავს იმპერიალისტი მტაცებლების აგრესიულ გეგმებს.

სამშობლოსადმი სიყვარული ერთ-ერთი კეთილშობილური გრძნობაა იმ გრძნობათაგან, რომლებიც მოიპოვება ადამიანთა სულიერ საგანძურში. „პატრიოტიზმი, — გვასწავლის ვ. ი. ლენინი, — ერთ-ერთი ყველაზე ღრმა გრძნობაა, რომელიც განმტკიცებულია საუკუნეებისა და ათასეული წლების მანძილზე განცალკევებულ სამშობლოთა არსებობით“ (თხზ., ტ. 28, გვ. 215).

ადამიანთა საზოგადოების ისტორიაში პატრიოტიზმი სხვადასხვა შინაარსით გვევლინება, ექსპლოატატორული კლასების პატრიოტიზმი შეზღუდული იყო და არის ამ კლასების ინტერესებით. თანამედროვე ბურჟუაზიამ დოლარებზე გაჰყიდა სამშობლოს ინტერესები, მან გადაადგილ და ფეხქვეშ გათელა ეროვნული დამოუკიდებლობისა და ეროვნული სუვერენიტეტის დროშა.

საბჭოთა პატრიოტიზმი პატრიოტიზმის უმაღლესი ფორმაა, რადგან იგი გამოხატავს იმ თავისებურებებს, რომლებიც უშუალოდ სოციალისტური საზოგადოებისაგან გამომდინარეობენ, აგრეთვე ჩვენი ქვეყნის ხალხების პატრიოტულ ტრადიციებს. საბჭოთა პატრიოტიზმი არის ჩვენი ქვეყნის ხალხთა ბრძოლისა და შემოქმედებითი შრომის დაუშრეტელი წყარო, ჩვენი საზოგადოების განვითარების მძლავრი მამოძრავებელი ძალა.

მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის, კულტურისა და მეცნიერების განვითარებაში მიღწეული ახალი წარმატებანი მოწმობენ ჩვენი ქვეყნის ხალხთა შემოქმედებითს აღმავლობას, მათი თაოსნობისა და ინიციატივის ზრდას, რაც შედეგია საბჭოთა ადამიანების პატრიოტული მოძრაობისა. 1925 წლის შემდეგ განვლილი 28 წლის მანძილზე სამრეწველო პროდუქციის გამოშვება 29-ჯერ გაიზარდა. სამრეწველო წარმოების მოცულობა 1953 წელს დაახლოებით ორნახევარჯერ მეტია, ვიდრე ომამდელ 1940 წელს იყო. მარტო სამრეწველო პროდუქციის თვითღირებულების შემცირებით 1951 წელს მიღებულია 35,5 მილიარდი მანეთი ეკონომია, ხოლო 1952 წელს — 46 მილიარდ მანეთზე მეტი. ასეთივე დიდი წარმატებებია მიღწეული სოფლის მეურნეობის განვითარებაში. 1952 წელს მარცვლეულის საერთო მოსავალმა შეადგინა 8 მილიარდი ფუთი. ჩვენში მარცვლეულის პრობლემა წარმატებით გადაიჭრა. საბჭოთა მეცნიერების უმნიშვნელოვანეს მიღწევას წარმოადგენს ატომის ენერგიის წარმოების მეთოდების აღმოჩენა. ჩვენმა მეცნიერებამ და ტექნიკამ მოსპეს ამერიკის შეერთებული შტატების მონოპოლიური მდგომარეობა ამ დარგში, რითაც საბჭოთა ხალხმა ხერიოზული ლახვარი ჩასცა ომის გამჩაღებლებს.

პარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებანი, ახალი სახელმწიფო ბიუჯეტი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის დადგენილება და პარტიისა და მთავრობის ყველა სხვა დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებანი, რომელთა მიზანია სასაღლო მეურნეობის და კულტურის შემდგომი განვითარება, სოციალისტური საზოგადოების შრომელთა მატერიალური და კულტურული ცხოვრების დონის მნიშვნელოვანი ამაღლება ახალ შემოქმედებით ძალას აძლევენ საბჭოთა ხალხის პატრიოტულ მოძრაობას, ზრდიან მის რევოლუციურ სიფხიზლეს და პასუხისმგებლობის გრძნობას. საბჭოთა პატრიოტიზმი წარმოადგენს უადრესად შეგნებულ, ქმედით, მასობრივ, საერთო-სახალხო პატრიოტიზმს; გამოხატავს რა არსებითად საბჭოთა ქვეყნის საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილებისადმი, კომუნისტური პარტიისადმი სიყვარულს, ამავე დროს იგი ინტერნაციონალური ხასიათისაა.

საბჭოთა პატრიოტიზმის ინტერნაციონალური ხასიათი ისტორიულად დაკავშირებულია საერთოდ მუშათა კლასის პატრიოტიზმთან. ცნობილია, რომ მუშათა კლასის ბრძოლა საკუთარი ქვეყნის ბურჟუაზიის წინააღმდეგ ამავე დროს ნიშნავს საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ინტერესებისათვის ბრძოლას, რადგან მუშათა მოძრაობის ინტერესები ერწყმის ყველა ქვეყნის, ყველა ერის და რასის შრომელთა ინტერესებს.

პროლეტარული ინტერნაციონალიზმი გამოხატავს ყველა ქვეყნის მუშებისა და შრომელთა კლასობრივი სოლიდარობის იდეას, მათი ინტერესების ერთობას, ყველა ქვეყნის, ერისა და რასის ურთიერთკავშირისა და თანამშრომლობის იდეას თანასწორუფლებიანობისა და ურთიერთმეგობრობის საფუძველზე. ნამდვილი ინტერნაციონალისტი ამავე დროს თავისი ქვეყნის პატრიოტია.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია მთელ თავის მოღვაწეობაში ხელმძღვანელობდა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპებით, ულმობლად ებრძოდა II ინტერნაციონალის სოციალ-დემოკრატიულ პარტიებს, რომლებიც აფერხებდნენ მუშათა კლასში სოციალისტური შეგნებისა და ინტერნაციონალური სულისკვეთების გამომუშავებას. ჩვენი კომუნისტური პარტიის მოღვაწეობა ყველაზე საუკეთესო მაგალითია იმისა, თუ როგორ უნდა წარმოებდეს სოციალიზმისათვის ბრძოლა ინტერნაციონალიზმის დროშით.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა სოციალისტური მშენებლობისაგან განუყოფლად ახორციელებენ ლენინურ-სტალინურ ეროვნულ პოლიტიკას, რომელიც ემყარება პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპებს, ჩვენი ქვეყნის ხალხთა თანასწორუფლებიანი და ურთიერთმეგობრული განვითარების პრინციპებს. საბჭოთა ხალხების სიყვარული სოციალისტური სამშობლოსადმი გულისხმობს მათ შორის თანასწორუფლებიანობასა და მეგობრულ ურთიერთდამოკიდებულებას. „საბჭოთა პატრიოტიზმის ძალა, — ამბობს ი. ბ. სტალინი, — იმაში მდგომარეობს, რომ მის საფუძველს წარმოადგენენ არა რასობრივი ან ნაციონალისტური ცრურწმენანი, არამედ ხალხის ღრმა ერთგულება თავისი საბჭოთა სამშობლოსადმი, ჩვენი ქვეყნის ყველა ერის შრომელთა ძმური თანამეგობრობა. საბჭოთა პატრიოტიზმში ჰარმონიულად შეხამებულია საბჭოთა კავშირის ხალხთა ნაციონალური ტრადიციები და ყველა შრომელთა საერთო სასიცოცხლო ინტერესები“.

საბჭოთა პატრიოტიზმი ნიშნავს სოციალისტური სამშობლოს სიყვარულს. სსრ კავშირში გაერთიანებული ერები ერთად აშენებენ კომუნისტურ საზოგადოებას, გამსჭვალული არიან ერთი საერთო მიზნით. თვითეული სოციალისტური ერი თავის ეკონომიკასა და კულტურას ავითარებს დანარჩენ ერებთან კავშირში. თვითეული საბჭოთა ადამიანის სიყვარული თავისი ერისადმი ამავე დროს ნიშნავს დანარჩენი სოციალისტური ერებისა და მთლიანად საბჭოთა ქვეყნისადმი სიყვარულს.

საბჭოთა პატრიოტიზმი ნიშნავს აგრეთვე საბჭოთა კულტურის სიყვარულს. ჩვენში კულტურა ვითარდება ეროვნულ კულტურათა განვითარების გზით. საბჭოთა სოციალისტური ერების კულტურები სოციალისტურია შინაარსით და ეროვნულია ფორმით. საბჭოთა კავშირის ყველა ხალხში განმტკიცდა სოციალისტური წყობილება, რის საფუძველზეც ისინი ქმნიან და ავითარებენ თავიანთ კულტურას. ეს კულტურები ასახავენ სოციალისტურ ცხოვრებას, საბჭოთა ადამიანების თავისუფალ და შემოქმედებითს შრომას, კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის კეთილშობილურ ბრძოლას და აქტიურ როლს ასრულებენ საბჭოთა საზოგადოების განვითარებაში. სსრ კავშირის ყველა ერში დამკვიდრებულია სოციალისტური ცხოვრება, რომელსაც თვითეული მათგანი ასახავს მისთვის მისაწვდომი ფორმებით, რაც განპირობებულია მათი ცხოვრებას, კულტურისა და ზნეჩვეულების განვითარების თავისებურებით. ამავე დროს ჩვენი ქვეყნის ერები ერთიმეორისაგან განსხვავდებიან ენით; თავიანთი სოციალისტური კულტურის შინაარსს ისინი გადმოგვცემენ და გამოხატავენ ეროვნული ფორმით, ეროვნული ენების საშუალებით. ამიტომ თანამედროვე საბჭოთა ხალხების კულტურები შინაარსით სოციალისტური და ფორმით ეროვნულია.

სოციალისტური კულტურის განვითარება გულისხმობს ჩვენი ხალხების ეროვნული ტრადიციების ათვისებას და მათს შემდგომ განვითარებას. ჩვენ ვამაყობთ ჩვენი ხალხების გმირული წარსულით, გამოჩენილი მეცნიერებით, გამომგონებლებით, მწერლებით, მუსიკოსებით და სხვ., რომლებიც იბრძოდნენ სამშობლოს კეთილდღეობისათვის, მშობლიური კულტურისა და მეცნიერების განვითარებისათვის. თვითეულ საბჭოთა ადამიანს უყვარს სამშობლო და მისი კულტურა, თავისი ერი და ეროვნული კულტურა. ეროვნული ტრადიციები

ის გარემოება, რომ საბჭოთა პატრიოტიზმში ჰარმონიულად არის შეხამებული ჩვენი ქვეყნის ხალხთა ეროვნული ტრადიციები და მათი საერთო სასიცოცხლო ინტერესები განამტკიცებს მათს მეგობრობას. საბჭოთა პატრიოტიზმი ერთიან ძმურ ოჯახად აკავშირებს და ადუღებებს ჩვენი ქვეყნის ყველა ერსა და ეროვნებას. საბჭოთა კავშირის დიდ სამამულო ომში ჩვენი ქვეყნის ხალხთა მეგობრობა კიდევ უფრო გამტკიცდა ერთიანი სოციალისტური სამშობლოს დაცვის იდეით, საბჭოთა პატრიოტიზმის იდეით. საბჭოთა პატრიოტიზმი ხელს უწყობს აგრეთვე ჩვენი საზოგადოების სხვა მამოძრავებელი ძალების განვითარებას, სსრ კავშირის ხალხთა მორალურ-პოლიტიკური ერთიანობის განმტკიცებას, კრიტიკისა და თვითკრიტიკის შემდგომ განვითარებას, რაც თავის მხრივ განამტკიცებს საბჭოთა ქვეყანას და აჩქარებს მის წინსვლას.

საბჭოთა პატრიოტიზმი დიდად უწყობს ხელს ადამიანთა შეგნებაში ბურჟუაზიული იდეოლოგიის ნაშთების აღმოფხვრას. საბჭოთა საზოგადოებაში არ არსებობს კლასობრივი ბაზა ბურჟუაზიული იდეოლოგიისათვის. ჩვენში გაბატონებულია სოციალისტური იდეოლოგია, მაგრამ ბურჟუაზიული იდეოლოგიის ნაშთები, კერძოსაკუთრული ფსიქოლოგიისა და მორალის ნაშთები ჯერ კიდევ შემორჩენილია; ჯერ კიდევ ვხედავთ რეაქციული ბურჟუაზიული კულტურის წინაშე ქედისმოხრის, ნაციონალიზმისა და ბურჟუაზიული კოსმოპოლიტიზმის გამოვლინებებს. ასეთი იდეებისადმი მიდრეკილებას ძირშივე სპობს საბჭოთა პატრიოტიზმი, რომელიც უნერგავს ჩვენს ადამიანებს ეროვნული სიამაყის გრძნობას.

კომუნისტური პარტია დიდ მნიშვნელობას ანიჭებს იდეოლოგიურ მუშაობას. „მუდამ უნდა გვახსოვდეს, — ამბობდა ამხანაგი გ. მ. მალენკოვი პარტიის XIX ყრილობაზე, — რომ სოციალისტური იდეოლოგიის გავლენის ყოველგვარი შესუსტება ნიშნავს ბურჟუაზიული იდეოლოგიის გავლენის გაძლიერებას“. პარტია დიდ როლს ანიჭებს ადამიანთა აღზრდას პატრიოტული სულისკვეთებით. . საბჭოთა კავშირის ხალხები ყოველთვის მიისწრაფვიან იქითკენ, რომ მეგობრული ურთიერთობა დაამყარონ სხვა სახელმწიფოებთან ყველა თავისუფლებისმოყვარე ხალხთა თანასწორუფლებიანობის საფუძველზე. თავის მხრივ სსოფლიოს მშრომელი და პროგრესული ადამიანები, მოძმე პარტიები პატივს სცემენ ჩვენს სამშობლოს — მსოფლიოში პირველ სოციალისტურ ქვეყანას, რომელიც თავიანთ სამშობლოდაც მიიჩნიათ. ისინი მზარს უმერენ ჩვენი ქვეყნის მშვიდობისმოყვარულ მისწრაფებებს, იმიტომ, რომ ამით თავიანთ ინტერესებსაც იცავენ. ასეთი ურთიერთობის საფუძველი იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენი ქვეყნის ინტერესები განუყოფელია მთელ მსოფლიოში მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის საქმისაგან.

საბჭოთა კავშირის სამშვიდობო პოლიტიკა, მის მიერ პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპების განხორციელება ახალი მიმართულებით წარმართავს საბჭოთა ადამიანების შეგნებას. ხალხთა შორის მეგობრული ურთიერთობა და თანასწორუფლებიანობის საფუძველზე თანამშრომლობა მშვიდობის დამყარებისა და ბედნიერი ცხოვრების შექმნის აუცილებელი პირობაა. საბჭოთა ადამიანების მიერ ამ გარემოების შეგნება, ასეთი მისწრაფებით მათი გამხმოვანება თავს იჩენს მათს შემოქმედებითს მოღვაწეობასა და პატრიოტულ მოძრაობაში. საბჭოთა პატრიოტიზმის ინტერნაციონალური ხასიათის გამოვლინებას წარმოადგენს, მაგალითად, საბჭოთა ქვეყნის ტექნიკის უახლესი მიღწევების, საწარმოო და სამეურნეო გამოცდილების, შრომის ახალი მეთოდების და სხვ. გაზიარება სახალხო-დემოკრატიული ქვეყნებისათვის.

* * *

პროლეტარულ ინტერნაციონალიზმთან საერთო არაფერი აქვს ბურჟუაზიულ კოსმოპოლიტიზმს, რომელიც თანამედროვე პირობებში წარმოადგენს რეაქციული კლასების, იმპერიალისტური ბურჟუაზიის იდეოლოგიას. კოსმოპოლიტურ იდეოლოგიას თავისი ეკონომიური საფუძველი კაპიტალისტურ საზოგადოებაში აქვს. ბურჟუაზიული ერების ჩამოყალიბებისა და განმტკიცების შემდეგ კაპიტალისტური წარმოების ზრდა, მონოპოლიების წარმოშობა და დიდი რაოდენობით დამზადებული საქონლის გასაღების სურვილი იწვევს ნაციონალური ჩარჩოებიდან გასვლას, ერებსა და სახელმწიფოებს შორის ურთიერთობის გახშირებას, მსოფლიო მეურნეობისა და მსოფლიო ბაზრის შექმნას.

მონოპოლისტური კაპიტალიზმის მამოძრავებელია მისწრაფება მაქსიმალური კაპიტალისტური მოგებისადმი. იმპერიალიზმის დროს ერების ურთიერთკავშირი და თანამშრომლობა ერთთან მსოფლიო მეურნეობაში თანასწორუფლებიანობისა და ურთიერთმეგობრობის საფუძველზე კი არ ხდება, არამედ ძლიერი ერების მიერ სუსტი ერების ძალადატანებითი დაპყრობისა და ჩაგვრის საფუძველზე. კოსმოპოლიტური იდეები უწინარეს ყოვლისა წარმოადგენენ ეკონომიურად და პოლიტიკურად გაბატონებული სახელმწიფოების იდეებს.

თანამედროვე პერიოდის მსოფლიო კაპიტალისტურ მეურნეობაში ეკონომიურად გაბატონებულია ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალიზმი. ამიტომ კოსმოპოლიტური იდეოლოგიის ფორმით უწინარეს ყოვლისა გამოდის ამერიკული იმპერიალიზმის იდეოლოგია. კოსმოპოლიტური იდეოლოგიის ქადაგებას ამერიკა იყენებს როგორც საშუალებას სხვა ქვეყნების ხალხთა სულიერი განიარაღებისათვის. იმპერიალისტური ბურჟუაზიის იდეოლოგები ხალხებს მოუწოდებენ დაივიწყონ ეროვნული სუვერენიტეტისა და საკუთარი სამშობლოსადმი სიყვარულის გრძნობა, კულტურის ეროვნული ფორმები.

კოსმოპოლიტური იდეოლოგიას აქვს როგორც ეკონომიური, ისე კლასობრივი საფუძველი. იგი რასისტული იდეოლოგიის ნაირსახეობას წარმოადგენს და მიზნად ისახავს აიცდინოს ხალხი ბურჟუაზიის წინააღმდეგ რევოლუციური ბრძოლის გზას. ბურჟუაზიული კოსმოპოლიტიზმი თავისი არსით მიმართულია პროლეტარული ინტერნაციონალიზმის წინააღმდეგ, საბჭოთა კავშირისა და სახალხო-დემოკრატიული ქვეყნების წინააღმდეგ.

მეგობრულენი სოციალისტები ცდილობენ ბურჟუაზიული კოსმოპოლიტიზმი გაასაღონ ინტერნაციონალიზმად, რათა შეცდომაში შეიყვანონ მუშები, აიცდინონ ისინი რევოლუციური მოძრაობის გზას. ბურჟუაზიულ კოსმოპოლიტიზმს საერთო არა აქვს რა საბჭოთა პატრიოტიზმთან, რომელიც თავისი ხასიათით ინტერნაციონალურია, ისინი გამოხატავენ ერთიმეორისაგან ძირეულად განსხვავებულ ორ სისტემას, ორ პოლიტიკას, ორ იდეოლოგიას — ბურჟუაზიულსა და სოციალისტურს.

საბჭოთა პატრიოტიზმი, რომლის ინტერნაციონალური ხასიათი დღითიდღე ვითარდება, რაზმავს და აღაფრთოვანებს საბჭოთა ადამიანებს კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის, ამობილიზებს მათს ფიზიკურ და სულიერ ძალებს დიადი, კეთილშობილური მიზნების განსახორციელებლ

წერილები რედაქციას

ელსადგურს შეკეთება ესაჭიროება, სოფლებს — ელექტროშუქი

ტბას, რველს, ყვიბისს, წაღვერს, მზეთამზეს და ზოგიერთ სხვა საკოლმეურნეო სოფლებს ელექტროენერგიას აწვდიდა ბორჯომის ჰიდროელექტროსადგური. სოფლები უზრუნველყოფილი იყო ელექტროგანათებით. და რადიომიმსახურებით. მიმდინარე წლის ზაფხულზე ნიაღვარმა დააზიანა ელექტროსადგურის არხის სათავე და ელსადგურის მუშაობაც შეჩერდა.

მას შემდეგ ხუთ თვეზე მეტი გავიდა, ელსადგური კი დღემდე შეუკეთებელია. ელექტროშუქის მიუწოდებლობის გამო სოფლები გაუნათებელია.

ელექტროსადგურის რემონტი ჭიანურდება კურორტსამმართველოს დირექტორის გ. ხუციშვილისა და საქმშენის ბორჯომის კანტორის უფროსის ს. ტატიშვილის დაუდევრობით.

ელსადგურის რემონტის შესახებ იმსჯელა პარტიის ბორჯომის რაიკომის ბიურომ და დაავალა აღნიშნულ ორგანიზაციებს დროზე აღედგინათ ელსადგური. მაგრამ რაიკომის დადგენილება დღემდე მხოლოდ ქაღალდზე რჩება.

საინტერესოა, ფიქრობენ თუ არა კურორტსამმართველოს და საქმშენის ბორჯომის კანტორის ხელმძღვანელები ელსადგურის შეკეთებას?

შ. აბრამაშვილი,

ბორჯომის რაიონული გაზეთის „კომუნიზმის დროშით“ რედაქციის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგე.

შეუკეთებელი სახურავი და კარგი დაკირება

მიმდინარე წლის ივნისში თბილისის სტალინის რაიონის სარემონტო კანტორამ დაიწყო გორის ქ. № 25 სახლის, აგრეთვე ფარდულების სახურავის კაპიტალური შეკეთება. პირველ ხანებში სამუშაო ჩქარი ტემპით წარმოებდა. მაგრამ კანტორამ ნახევარი სამუშაო შეასრულა, ისიც დაბალხარისხოვნად, შემდეგ კი შეკეთება შეწყვიტა. ამის გამო ყველა მობინადრის ბინაში წყალი ჩამოდის.

ამას წინათ მობინადრეთა თხოვნით საბინაო სამმართველომ სახურავის შეკეთების დასამთავრებლად თუნუქი მოგვცა. გვეგონა ამით მაინც ეშველებოდა საქმეს, მაგრამ მაინც არაფერი გამოვიდა. სარემონტო კანტორის უფროსმა ამხ. ამაშუკელმა განაცხადა, თუნუქის მხურავები არა გვყავს, ვიშოვნით და შეკეთებას დავამთავრებთო. გადის დღეები, ზამთარი დადგა, დაპირება კი კვლავ შეუსრულებელია, ჩვენი სახლისათვის გამოყოფილი თუნუქიც ნიავდება.

საინტერესოა, როდის შეასრულებს ამხ. ამაშუკელი თავის დაპირებას?

ა. პატარიძე, გ. ბარკალაია, ზ. სემიონოვი, შ. ხვედელიანი.

თბილისი. სატრიკოტაჟო კომბინატი. კომბინატის საკოტონო საამქრო მოწყობილია ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით. ფართო საამქროში დადგმულია საბჭოთა მარკის მანქანები, მოწყობილია ვენტილაცია და დღის შუქის ლამპები. მუშა ქალებს მუშაობის დროს სპეციალური კოსტიუმები აცვიათ. **სურათზე:** საკოტონო საამქროში. ოსტატი დ. ბიბილურიძე ამოწმებს მეკოტონე ვ. პავლენკოს ნამუშევარს.

ფოტო ვლ. ზარიძისა და გ. ვახტანგაძისა.

რუსთავში ზამთარს მოუმზადებელნი შეხვდნენ

რუსთავის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა 4 ნოემბერს მიიღო დადგენილება წელს გათბობის სეზონის ჩვეულებრივზე 9 დღით ადრე დაწყების შესახებ. დადგენილების მიხედვით მეტალურგმშენის ტრესტის, მეტალურგიული ქარხნისა და საბინაო-კომუნალური განყოფილების ხელმძღვანელებს დაევალათ, ცენტრალური გათბობის ქსელის ყველა სარემონტო სამუშაოთა 6 ნოემბრისათვის დამთავრება.

ცხადია, დადგენილებით გათვალისწინებული სამუშაოები ორ დღეში ვერ შესრულდებოდა. ამისათვის საჭირო იყო ზამთრისათვის მზადების ბევრად უფრო ადრე დაწყება, ხოლო ახლა აღმასკომის დადგენილება კეთილ სურვილად დარჩა, მოსახლეობა კი სიცივეში აღმოჩნდა. მთელ რიგ საცხოვრებელ უბნებში სახლების ნახევარზე მეტი დღესაც ვერ სარგებლობს ცენტრალური გათბობით. არ თბება აგრეთვე სკოლების, მუშათა საერთო საცხოვრებლების, ჯანმრთელობის დაცვის კერებისა და ქალაქის დაწესებულებათა უმეტესობა, რაც ძლიერ უშლის ხელს მათ ნორმალურ მუშაობას. საექსპლოატაციოდ ახლად გადაცემული სახლების მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილია ჩართული ცენტრალური გათბობის ქსელში. ამ საქმეში დანაშაულებრივი დაუდევრობა გამოიჩინეს მეტალურგმშენის ტრესტის „კავსანტეხმონტაჟის“ ხელმძღვანელებმა, რომლებმაც ვერ უზრუნველყვეს ცენტრალური გათბობის ქსელის გამართულობა. ის ობიექტებიც კი, რომლებიც ცენტრალური გათბობის ქსელში ჩართეს, არანორმალურად, დიდი შეფერხებებით თბება. მაგალითად, ქალაქის საავადმყოფოს მთავარი კორპუსი შიდა ქსელის გაუმართავობის გამო არ თბება. თბოგაყვანილობა წესრიგზე არ არის აგრეთვე მთელ რიგ საცხოვრებელ სახლებში.

ზამთრისათვის მზადებაში სრული უდარდელობა გამოიჩინა მეტალურგიული ქარხნის საბინაო-კომუნალური განყოფილების გათბობის ქვეგანყოფილებამ, რომელსაც ა. გუნიავა განაგებს. მუშები, რომლებსაც ევალებათ შენობათა გათბობის შიდა ქსელისადმი მეთვალყურეობა და წესრიგზე მოყვანა, საჭირო ინსტრუმენტებითაც კი არ არიან მომარაგებული.

ამასთან აღსანიშნავია, რომ მეტ წილ საცხოვრებელ სახლებში არ აქვთ საკვამლე მილები და ამიტომ მოსახლეობა მოკლებულია საშუალებას ცენტრალური გათბობა შეშით გათბობით შეცვალოს.

საინტერესოა, როდემდის დატოვებენ რუსთავის მოსახლეობას გათბობის მოლოდინში?

ს. ჯიღაური, ს. დიაჩენკო,

კავშირგაბმულობის რუსთავის განყოფილების მუშაკები.

ადგილობრივი მრეწველობის კომბინატში

290 ტონა საპონი გამოუშვა 20 ნოემბრისათვის თბილისის ადგილობრივი მრეწველობის საწარმოო კომბინატის საპნის საამქრომ, რომელიც საქართველოს საფეიქრო მრეწველობისათვის მხოლოდ სპეციალურ საფეიქრო საპონს ამზადებს. წლიური გეგმა 218 ტონის გამოშვებას ითვალისწინებდა. ეს სპეციალური საპონი გადაეგზავნა თბილისის მაუდ-კამეოლისა და აბრეშუმსაქსოვ ფაბრიკებს, ქუთაისის აბრეშუმის კომბინატს, მახარაძის, თელავის და წულუკიძის ძაფსაღებ ფაბრიკებს.

წლის ბოლომდე მრეწველობა დამატებით მიიღებს 30 ტონა სპეციალურ საპონს.

საწარმოო კომბინატის კომბინირებული საკვების საამქრომ 20 ნოემბრამდე 2.880 ტონა ცხენის, მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის, ღორისა და შინაური ფრინველის კომბინირებული საკვები მიაწოდა მოსახლეობას. საამქრო წლის ბოლომდე დაამზადებს 300 ტონაზე მეტ კომბინირებულ საკვებს, რაც საგრძნობლად აღემატება საგეგმო დავალებას.

განზრახულია საამქროს გაფართოება. მას 800 კვადრატული მეტრი ფართობი შეემატება მომავალი წლიდან საგრძნობლად გაიზრდება კომბინირებული საკვების დამზადება, გაფართოვდება ასორტიმენტიც.

ხელოვნების ქრონიკა

გერმანელ მსახიობთა გასტროლები

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში 5 დეკემბერს დაიწყო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მუსიკალური ხელოვნების მოღვაწეთა გასტროლები.

გერმანელ მსახიობებთან ერთად საქართველოში ჩამოვიდნენ ბერლინის უმაღლესი მუსიკალური სკოლის დირექტორი ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი პროფესორი გეორგ კნეპლერი და ბუქარესტში დემოკრატიული ახალგაზრდობის საერთაშორისო ფესტივალის ლაურეატი კომპოზიტორი გიუნტერ კოხანი.

კონცერტის წინ გერმანელ სტუმრებს თბილისის საზოგადოებრიობის სახელით გულთბილად მიესალმა კომპოზიტორი ო. თაქთაქიშვილი. სპასუხო სიტყვა წარმოთქვა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხელოვნების საქმეთა სახელმწიფო კომისიის ხელმძღვანელის მოადგილემ მარიამ რენტმაისტერმა.

პირველი კონცერტი მიეძღვნა კამერულ მუსიკას. მასში, ისევე როგორც მეორე კონცერტში, რომელიც გაიმართა 6 დეკემბერს რუსთაველის სახელობის თეატრის საკონცერტო დარბაზში, გამოვიდნენ დრეზდენის სახელმწიფო ოპერის სოლისტი დორა ჩილე, ფლეიტისტი პროფესორი ერვინ მილეკოტი და პიანისტი დიტერ ცეხლინი, რომელთა შესრულებას ახასიათებს დიდი მუსიკალური კულტურა, მაღალი ოსტატობა.

მომღერალი დორა ჩილე სრულყოფილად ფლობს თავის ხმას — ლამაზი ტემბრის დრამატულ სოპრანოს. მან სიუკეთესოდ შეასრულა ციკლი ბრამსის პოეტური რომანსებისა, რომლებიც დაწერილია გერმანული ხალხური სიმღერების მოტივებზე („დგას ცაცხვი“, „მზე აღარ ანათებს“, „დიკო“), შუბერტის სიმღერა „ფოსტა“, ვაგნერის ოპერიდან „ჯადოქარი მსროლელი“.

ვირტუოზული ბრწყინვალებითა და დიდი ოსტატობით შეასრულა პროფესორმა მილეკოტმა ბეთჰოვენისა და ბახის სონატები, შუბერტის ინტროდუქცია და ვარიაციები სიმღერა „გამხმარი ყვავილების“ თემაზე ეროვნული პრემიის და ბახის სახელობის პრემიის ლაურეატის პიანისტ ამადეუს ვებერზინკეს შესანიშნავი აკომპანემენტით. თვალსაჩინო მუსიკოსის ნიჭი გამოამჟღავნა აგრეთვე ახალგაზრდა პიანისტმა დოცენტმა დიტერ ცეხლინმა.

გერმანელ მსახიობთა კონცერტებს თბილისში დიდი წარმატება აქვს.

დონის როსტოვის თეატრმა დაამთავრა გასტროლები

სპექტაკლით „თქვენ გეძახით ტაიმირი“ დაამთავრა გასტროლები თბილისში დონის როსტოვის კომედიის თეატრმა.

თბილისში თეატრმა 7-დან 30 ნოემბრამდე გამართა 24 სალამოს, 6 დღის და 3 გამსვლელი სპექტაკლი. 13 ნაჩვენები პიესიდან ყველაზე მეტი მოწონება დაიმსახურეს სპექტაკლებმა „თქვენ გეძახით ტაიმირი“, „ვინ იცინის უკანასკნელი“, „ჭრიჭინა“, „რევიზორი“ და „შავი ტბის საიდუმლო“.

დიდი წარმატება ჰქონდა აგრეთვე უკრაინული დრამატურგიის კლასიკოსის გ. კვიტკო — ოსნოვიანენკოს პიესას „შელმენკო დენშჩიკი“. ავტორის დაბადების 175 წლისთავის აღსანიშნავად თეატრმა აქ მაყურებელს აჩვენა ამ პიესის მე-300 დადგმა.

პრემიერა ბათუმის თეატრში

ბათუმი. (საკ. კორ.). ამ დღეებში ბათუმის სახელმწიფო თეატრმა მაყურებელს უჩვენა დრამატურგ ვ. კანდელაკის ახალი კომედია „სარეველა“.

პიესა დადგა თეატრის მთავარმა რეჟისორმა შ. მესხმა, მხატვრულად გაფორმა დ. იმნაიშვილმა, მუსიკა დაწერა ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ა. ფარცხალაძემ.

სპექტაკლში როლებს ასრულებენ გ. იმნაიშვილი, მ. ჯალაღანია, შ. გეჯაძე, გ. ახვლედიანი, გ. დოღონაძე, ნ. კეპეფუმაძე, ი. ზოიძე, მ. დონაძე, პ. ინწკირველი, ხ. მიქელაძე, მ. ნაპირელი, ვ. ჩხაიძე და სხვ.

მარიამ გარიყულის შემოქმედებისადმი

დაბადების 70 ფლისთავის გამო

დიდი რუსი მწერალი ანტონ პავლესაძე ჩეხოვი ამბობდა, რომ ლიტერატურაში რიგითი მუშაკები ისევე აუცილებელი არიან, როგორც არმიაში. ასეთ მოღვაწეთა რიცხვს ეკუთვნის მზცოვანი მწერალი მარიამ გარიყული.

ჩვენი ლიტერატურის კლასიკოსებისა — ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის შემოქმედების კეთილმყოფელი გავლენით აიხსნება მ. გარიყულის დიდი დაინტერესება ქართული კულტურის საკითხებით. მომავალი მწერლის ინტელექტუალურ ჩამოყალიბებაზე დიდნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა რუსული მხატვრული ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშების გაცნობამ, რაც ი. ტურგენევის შემოქმედების შესწავლით დაიწყო.

მწერლობასთან ერთად მ. გარიყული გატაცებული იყო თეატრით, დიდი ხნის განმავლობაში ემსახურებოდა ქართულ სცენას თბილისის, ქუთაისისა და ბერიფერიის ბევრ სხვა თეატრში. იგი მუშაობდა ლადო მესხიშვილის, შალვა დადიანის ხელმძღვანელობით, თამამობდა ჩვენი სცენის კორიფეებთან — მარიამ საფაროვასთან და ვასო აბაშიძესთან ერთად.

მარიამ გარიყულმა აქტიური მონაწილეობა მიიღო ცხრას ხუთი წლის რეგოლუციაში: გამოდიოდა მუშათა რევოლუციურ დემონსტრაციებში, ავრცელებდა პროკლამაციებს და აკრძალულ ლიტერატურას, თავშესაფარს აძლევდა მეფის ჯალათების მიერ დევნილ რეგოლუციონერებს.

მწერლობაში მარიამ გარიყული ბეჯითი და ერთგული მიმდევარი იყო რეალიზმის იმ მიმართულებისა, რომელიც განვითარების მწვერვალზე აიყვანეს ილია ჭავჭავაძემ და აკაკი წერეთელმა. იგი მხატვრულ ლიტერატურას კონკრეტული ამოცანების გადაწყვეტას უკავშირებდა. მწერლის ნაწარმოებებში დახატულია სინამდვილის უტყუარი სურათები, ასახულია მშრომელი ხალხის ზრახვები და მისწრაფებანი.

თავისი პირველი მოთხრობა „ცხოვრების მსხვერპლი“ მარიამ გარიყულმა დაბეჭდა „ცნობის ფურცლის“ სურათებიან დამატებაში 1905 წელს. მასში აღწერილია მშრომელი ადამიანის ხვედრი კაპიტალისტური წესწყობილების პირობებში. ამ დროიდან განუწყვეტლივ იბეჭდებოდა მწერლის ნაწარმოებები როგორც თბილისის, ისე ქუთაისის ჟურნალ-გაზეთებში.

მარიამ გარიყულის მოთხრობებიდან განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს „ჩვეულებრივი ამბავი“, „ბორკილი“, „სოფლის მსუნაგები“, „სარდაფში“, „ღამილი“, „ცაბუ“, „ჯაშუში“, „ღარიბთა ჭერქვეშ“. რეალისტური მეთოდის მომარჯვებით მათში ავტორი ფართოდ გვაცნობს ქალაქისა და სოფლის მშრომელი მასების უმწეო მდგომარეობას თვითმპყრობელობის დროს, გვიხატავს ხალხის წაიღიდან გამოსული უბრალო ადამიანების მთელ გალერიას, აგრეთვე ცხოვრების გარეწართა, საერთო საქმის ორგულთა და მავნებელთა ტიპებს.

ბევრი საინტერესო საბავშვო ნაწარმოები შექმნა მარიამ გარიყულმა. მათი დიდი ნაწილი გამოქვეყნებულია ჟურნალ „ნაკადულში“.

ახალი ძალა და ენერგია შესძინა მწერალს საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამ საქართველოში. თავისუფალმა, განახლებულმა ცხოვრებამ უფრო ნაყოფიერი გახადა მისი შემოქმედება, გაბაასლა მწერლის თემატიკა, ხალისიანი განწყობილება შთაბერა მის მოთხრობებსა და მხატვრულ ნარკვევებს. მათში აისახა ჩვენი საწარმოების, კოლმეურნეობების, მშენებლობების, შახტების, მაღაროების ადამიანთა შრომისა და დასვენების დღეები, მათი აზრები, გრძნობები.

მარიამ გარიყულის სხვა მოთხრობებს შორის განსაკუთრებით მოსაწონია „ნანიკო“, „ვალე“, „ერთი ღამის ამბავი“, „მეგობრები“, „ცოლქმარი“, „რევოლუციის ხმა სოფლად“. ამ ნაწარმოებებში ავტორი გვიხატავს იმ ცვლილებებს, რაც რევოლუციის შედეგად მოხდა ხალხის ყოველდღიურ ცხოვრებაში, შემოქმედებათა შრომაში. მკითხველთა შორის მნიშვნელოვანი პოპულარობა მოიპოვა რომანმა „ინარეკლი“, რომელშიც ნაჩვენებია ახალი ცხოვრების დამკვიდრებისა და მშრომელთა ფენებიდან გამოსული ადამიანების სულისკვეთება.

ფაშისტს დამპყრობთა წინააღმდეგ საბჭოთა ხალხის დიდი სამამული ომის დროს მწერალმა გამოაქვეყნა მოთხრობები „შემთხვევა“, „დედა“ და „დურგალი მიხეილი“. მათში ავტორმა მოგვცა საბჭოთა ადამიანების გმირული ბრძოლის, ფრონტზე და ზურგში მათი მამაცური, თავდადებული შრომის მკაფიო სურათები.

ყურადღების ღირსია მარიამ გარიყულის მოგონებათა წიგნი „გავლილი გზა“. იგი ჩვენი მემუარული ლიტერატურის ერთ-ერთი თვალსაჩინო შენაძენია. თავისი პირადი ცხოვრების ფონზე ავტორი აგვიწერს ჩვენი საზოგადოებრივი სინამდვილის ბევრ საინტერესო ეპიზოდს. მკითხველი ამ მოგონებებში დაინახავს გარდასულ დროთა მახინჯს თუ დადებით მხარეებს, საინტერესო ბიოგრაფიის მქონე ადამიანებს, დამახასიათებელ ეპიზოდებს, შეხვედრასა და საქმიან ურთიერთობას ცნობილ თეატრალურ, ლიტერატურულ და საზოგადო მოღვაწეებთან.

სად პოულობდა მარიამ გარიყული შთაგონებას თავისი შემოქმედებისათვის, სად იყო მისი მოღვაწეობის წყარო და სათავე? ხალხი, მასთან ახლოს ყოფნა, მისი ცხოვრების ავკარგიანობის ზედმიწევნით ცოდნა, — აი რა ასაზრდოებდა მწერლის შემოქმედებას, აი რა ედო საფუძვლად მის ლიტერატურულ მუშაობას.

მთავარი და ძვირფასი თვისებები, რითაც გამოირჩევა მარიამ გარიყული როგორც ადამიანი და მწერალი, ეს არის მისი თავმდაბლობა, მოკრძალება და გულწრფელობა. ამ თვისებებით განვლო მან შვიდი ათეული წელი და გულწრფელად ემსახურება ხალხს, მშობლიურ ქვეყანას.

პ. ბახტურიძე.

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურის მაღალი ხარისხისათვის

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმმა დიდი ამოცანები დააკისრა სასოფლო-სამეურნეო პროპაგანდისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მათი ფართოდ დანერგვის მძლავრ საშუალებას სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურა წარმოადგენს. ამიტომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილება მოითხოვს ამ ლიტერატურის გამოცემის საქმის არსებითად გაუმჯობესებას, რათა იგი სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის ბრძოლის ქმედით იარაღად გადაიქცეს.

ქართულ სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურას სერიოზული ნაკლოვანებები ახასიათებს. ამის ძირითადი მიზეზებია წიგნის ავტორთა და რედაქტორთა შერჩევისადმი ზერელე დამოკიდებულება, საგამომცემლო თემატიკური გეგმების სოფლის მეურნეობის კონკრეტული სამეურნეო-პოლიტიკური ამოცანებისაგან მოწყვეტით შედგენა.

სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურის მნიშვნელობის შეუფასებლობის შედეგად „სახელგამს“ 1952 და 1953 წლებში არც ერთი პოპულარული ბროშურა არ გამოუცია ისეთ აქტუალურ საკითხებზე, როგორიც არის კარტოფილისა და ბოსტნეული კულტურების კვადრატულ-ბუდობრივი თესვა, მებოსტნეობის შრომატევად სამუშაოთა მექანიზაცია, სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა ბინათმშენებლობა, კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობის ეკონომიკა და ორგანიზაცია, კოლმეურნეობებში შრომის ორგანიზაცია და ანაზღაურება და სხვ. ვერ უზრუნველყვეს აგრეთვე აგროზოოტექნიკური კურსების სწავლების მესამე წლის სახელმძღვანელოთა გამოცემა.

ამასთან „სახელგამის“ მიერ გამოცემული სასოფლო-სამეურნეო წიგნების საგრძნობი ნაწილისათვის დამახასიათებელია დასმულ საკითხთა ზერელედ გაშუქება, სიახლეს მოკლებული მასალის წარმოდგენა, მოწინავე საწარმოო გამოცდილებისა და მეცნიერების უახლეს მიღწევათა უგულებელყოფა, პლაგიატი, რედაქციის დაბალი დონე.

ს. ერქომაიშვილის ბროშურა „ცხოველთა ბუნების გარდაქმნა“, რომელიც ს. ჭუმბურიძის რედაქციით 1952 წელს გამოვიდა, არსებითი ხასიათის იდეოლოგიურ და ტექნიკურ შეცდომებს შეიცავს. იგი წარმოადგენს აგრეთვე პლაგიატის ნიმუშს.

ავტორის პრინციპულად არასწორად აქვს წარმოდგენილი ვ. ი. ლენინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა საკავშირო აკადემიის 1948 წლის აგვისტოს სესიის მუშაობის შინაარსი და მისი მნიშვნელობა საბჭოთა ბიოლოგიური მეცნიერების განვითარებაში. მისი განცხადებით, ამ სესიაზე „ამეღავნებდნენ მეცნიერ მუშაკთა ერთი ნაწილის შეცდომებს, მათ ჩამორჩენას შემოქმედებით მუშაობაში“ (გვ. 7). სინამდვილეში სესიაზე რეაქციული ბიოლოგიის წარმომადგენელთა ცალკეულ შეცდომებს კი არ „ამეღავნებდნენ“, არამედ მახვილი მათი იდეალისტური, ბურჟუაზიული იდეოლოგიის წინააღმდეგ იყო მიმართული. რეაქციული ბიოლოგიის წარმომადგენლები კი არ „ჩამორჩებოდნენ“ და ისიც „შემოქმედებით მუშაობაში“, არამედ მუშაობას იდეალიზმისა და მეტაფიზიკის პრინციპებზე აწარმოებდნენ. ამ საკითხში ავტორი პარტიულობის პრინციპის თანმიმდევრულად დაცვის ნაცვლად რეაქციული ბიოლოგიის წარმომადგენელთა დამცველის როლში გამოდის.

ავტორი შეცდომას უშვებს საზოგადოებრივი მეცხოველეობის გაუმჯობესების გზებისა და ამოცანის დასაბუთებაში. იგი წერს: „იმ შემთხვევაში, როდესაც განზრახულია ცნობილი მაღალპროდუქტიული ჯიშის დანერგვა და ადგილობრივი მკირეპროდუქტიული ჯიშის ლიკვიდაცია, მიმართავენ შთანთქმითი ანუ განდევნითი შეჯვარებას“ (გვ. 57). მაგრამ ვის დაუსახია ოდესმე ამოცანად „ადგილობრივ ჯიშის ლიკვიდაციას?“. ადგილობრივ ჯიშს გააჩნია რავალი ისეთი ძვირფასი სამეურნეო თვისება, რაც მეტიზაციის პროცესში „ლიკვიდირებული“ კი არ უნდა იქნას, არამედ აუცილებლად შენარჩუნებული, ვინაიდან „პრაქტიკაში მუშაობის ასეთი ანარქიული მეთოდის გამოყენებამ თავის დროზე დიდი ზიანი მიაყენა ჩვენი ქვეყნის მეცხოველეობას... ამიტომ ამჟამად ჩვენს წინაშე ვაყენებთ კულტურული ჯიშების შემკვიდრეობით ადგილობრივი ჯიშების შემკვიდრეული ბუნების არა შთანთქმის, არამედ მათი გონივრულად შეერთების ამოცანას“ (ნ. ვ. ტურბინი. გენეტიკა სელექციის საფუძველებით. 1950 წ. გვ. 363).

თავის მცდარ დებულებას ავტორი აღრმავებს იმ განცხადებით, რომ თითქოს „ადგილობრივი ჯიშის დედაპირუტყვს აგრილებენ იმ ჯიშის მწარმოებლით, რომლის საბოლოოდ მოშენებაა განზრახული“ (გვ. 57). მეტიზაციის საბოლოო მიზანი გამაუმჯობესებლად აღებული ჯიშის „საბოლოოდ მოშენება“ არ არის და არც შეიძლება იყოს, არამედ მეტიზაციის პროცესში უნდა შეიქმნას ახალი ტიპის ცხოველი, რომელშიც მოცემული იქნება როგორც გამაუმჯობესებლის, ისე გასაუმჯობესებელი ჯიშის პირუტყვის ძვირფასი სამეურნეო თვისებები, აგრეთვე ის სრულიად ახალი ძვირფასი თვისებები, რომლებიც შეიქმნებიან მეტიზაციის, როგორც შემოქმედებითის პროცესში. აკად. ტ. დ. ლისენკოს სახოვანი გამოთქმით „მეტიზაციის — ორი ჯიშის შეჯვარების დროს თითქოს ერთიანდება შესაჯვარებლად აღებული ის ორი ჯიში, რომლებიც ადამიანებმა ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში გამოიყვანეს“ (აგრობიოლოგია. 1950 წ. გვ. 793).

მცდარია ავტორის განცხადება, რომ თითქოს პრიმიტიული ჯიშები „გარეგნული ნიშნებით ერთტიპიურობას მოკლებულია“ (გვ. 42). სინამდვილეში პირიქით არის. იმის გამო, რომ ისინი დიდად არიან დამოკიდებული ბუნებრივ პირობებზე, ბუნებრივ გადარჩევაზე და ჯერ კიდევ უმნიშვნელოა მათზე ხელოვნური გადარჩევის გავლენა, „ავლენენ მცირე ცვალებადობას — ისინი უფრო ერთტიპიურნი არიან“ (პროფ. ე. ი. ბორისენკო. „სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა მომშენებლობა“, 1952 წ. გვ. 314), ვიდრე გარდამავალი ან კულტურული ჯიშები.

უსაფუძვლოა ავტორის განცხადება იმის შესახებ, რომ თითქოს „ყოველი ცვლილება, რომელიც მემკვიდრეობაში განმტკიცდა, რაღაც ახალს, მეტ-ნაკლები სიძლიერის ახალ თვისებას ანიჭებს მის მფლობელ ორგანიზმს და ამით გარემოსადმი შეგუების ახალ შესაძლებლობებს ჰქმნის“ (გვ. 48). ამ განცხადებით ავტორი რეაქციული ბიოლოგიის პოზიციაზე დგას, რადგან გადარჩევას აცლის ყოველგვარ შემოქმედ ძალას, უკეთ რომ ვთქვათ, ორგანული სამყაროს ევოლუციაში გადარჩევას გადასარჩევიც არაფერი დარჩენია, თუ „ყოველი ცვლილება“ „შეგუების ახალ შესაძლებლობებს ჰქმნის“.

პრინციპული ხასიათის შეცდომები ბროშურაში სხვაც მრავალია. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ის, რომ ავტორს სხვა ავტორთა შრომებიდან სიტყვასიტყვით გაუმოუწერია და მიუთვისებია მთელი გვერდები და აბზაცები (მაგ. მ. ტომეს და ვ. ნოვიკოვის „ზოგადი ზოოტექნიკის“ სახელმძღვანელოს, — 322-325, 329-335, 337 და სხვა გვერდები).

სამწუხაროდ, სხვისი აზრების მითვისებაში ს. ერქომაიშვილის ბროშურა ქართულ ზოოტექნიკურ ლიტერატურაში გამონაკლისს არ წარმოადგენს. ამ მხრივ მას არ ჩამორჩება ი. მოსაშვილის „მეცხოველეობის საფუძვლები“ (1952 წ.), რომელშიც ასევე გადმოწერილი და მითვისებულია მასალები მ. ტომეს და ვ. ნოვიკოვის „ზოგადი ზოოტექნიკიდან“, ი. პოპოვის „სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა კვებიდან“, ნ. ბუინოვსკის „მეცხოველეობის საფუძვლებიდან“ და სხვა სახელმძღვანელოებიდან. გარდა იმისა, რომ ამახინჯებს ზოოტექნიკის მთელ რიგ დებულებებს, ავტორს „ნაშრომისათვის“ ორიგინალობის იერის მისაცემად შემოაქვს არქაული ტერმინები, მაგალითად, „ტამაზლუხი“, „გაქოსმენება“, „გაუსხება“, „იზვება“ და სხვა ამგვარი.

დაბალია რუსულიდან ქართულ ენაზე თარგმნილი სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურის ხარისხიც.

რედაქციის დაბალი დონით გამოირჩევა „მეცხოველე კოლმეურნის სახელმძღვანელო“ (რედაქტორი ს. ერქომაიშვილი. 1951 წ.). ცუდმა თარგმანმა და რედაქციამ ქართულ გამოცემაში არსებითად დაამახინჯა საბჭოთა ზოოტექნიკის ძირითადი დებულებები. მთარგმნელი და რედაქტორი ვერ ჩასწვდნენ რუსული ტექსტის ზოოტექნიკურ არსს და ერთმანეთისაგან ვერ განასხვავეს გადარჩევა და შერჩევა, ჯიში და სახეობა, გადარჩევა და შეგუება, ნაყოფიანობა და მწარმოებლობა და სხვ. ენობრივადაც წიგნი გაუმართავია. საკმარისია აღინიშნოს, რომ ნაცვლად ხნიერი ცხოველისა წერია „ძველი ცხოველი“, ნაცვლად დანიური ჯიშისა „დანეთის ჯიში“, ნაცვლად დიდი სპეციალისტისა „მსხვილი სპეციალისტი“ და ა. შ.

ყოველივე ამის შედეგად თარგმანში დამახინჯებულია და გაუგებარია მოშენების მეთოდები, სანაშენო საქმე, მეძკვიდრეობა და მისი ცვალებადობა, სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა კლასიფიკაციისა და მათი ევოლუციის საკითხი, სელექცია, მოშენების ტექნიკა და სხვ. ეს წიგნი ნამდვილი წუნია.

იშვიათი როდია, როცა ერთ ბროშურაში საკითხები მოცემულია ისეთი დიდი რაოდენობით, რომ იგი კარგავს ქმედითს ხასიათს. მაგალითად, თ. კანდელაკის ბროშურაში „შინაურ ცხოველთა საშვლის მონელების პროცესი“ ა-ფურცელზე, რაც ბროშურის მთელ მოცულობას შეადგენს, „მოცემულია“ ყველა სახეობის სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა საშვლის მონელების პროცესი, ბიოქიმიის პროცესები, მცენარეში ნივთიერებათა ცვლის საკითხები, კოსტრომეულ ჯიშის პირუტყვის გამოყვანის ისტორია, წყლით მომარაგების საკითხები. ეს ბროშურა სპეციალისტისათვის არაფრის მიმცემია, ხოლო მასობრივი მკითხველისათვის გაუგებარია თუნდაც იმიტომ, რომ მასში სრულიად განუმარტებლად უხვად არის გაბნეული უცხო სიტყვები და სპეციალური ტერმინები. მარტო მეშვიდე გვერდზე ასეთი ტერმინი 15-ჯერ მეორდება.

ანალოგიურ მაგალითს წარმოადგენს პროფ. ა. კიზირიას ბროშურა „მეცხოველეობის მეურნეობის მარტივი მექანიზაცია“. ტექსტის სულ 30 ფურცელზე ავტორი აღწერს მეცხოველეობის შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციის საკითხებს.

მსგავსი ბროშურები სხვაც მრავალია. სავსებით ბუნებრივია, რომ ასეთი ბროშურები მკითხველს სასარგებლოს ბევრს არაფერს აძლევენ.

ქართული სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურის არსებითი ხასიათის ნაკლად უნდა ჩაითვალოს ისიც, რომ იგი უმეტეს შემთხვევაში დაწვრილებით არ გადმოგვცემს მოწინავე საწარმოო გამოცდილებას.

ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ სასწრაფოდ აღმოვფხვრათ სერიოზული ნაკლოვანებანი სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურის გამოცემის საქმეში, გამოვცეთ მხოლოდ ისეთი წიგნები, რომლებიც დაგვეხმარებიან მეცნიერების უახლესი მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების პროპაგანდაში, ხელს შეუწყობენ მათს დანერგვას საკოლმეურნეო წარმოებაში.

დოც. ნ. ცოტაია.

საბჭოთა კავშირთან დაახლოებისათვის

კრებები და მიტინგები საფრანგეთში

პარიზი, 4 დეკემბერი. (საკდესი). საბჭოთა კავშირთან დაახლოებისათვის საყოველთაოსახალხო კამპანია, რომელიც დაიწყო „საფრანგეთ-სსრ კავშირის“ ასოციაციის ინიციატივით, წარმატებით მიმდინარეობს მთელ საფრანგეთში. როგორც გაზეთი „ლუმანიტე“ იუწყება, საფრანგეთში უკვე მოეწყო 600 კრება, რომლებიც მიეძღვნა საბჭოთა კავშირის პოლიტიკურ, ეკონომიურ და კულტურულ მიღწევებს. 10 დეკემბრისათვის — საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის კავშირისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების ხელმოწერის მე-9 წლისთავისათვის — ასოციაცია იმზადება სხვადასხვა ქალაქში მოაწყოს 100-ზე მეტი კრება და მიტინგი ხელშეკრულების დადების წლისთავთან დაკავშირებით.

ასოციაცია „საფრანგეთ-სსრ კავშირის“ ხელმძღვანელობამ მოუწოდა საფრანგეთის ბევრ თვალსაჩინო პოლიტიკურ მოღვაწეს მიიღოს მონაწილეობა ამ კამპანიაში. გამოეხმაურა რა ამ მოწოდებას, ეროვნული კრების თავმჯდომარემ ედუარდ ერიომ განაცხადა:

„ამ წინადადებათა პირველი წაკითხვის დროს იქ ვერაფერი ვპოვე, რაც ეწინააღმდეგებოდეს იმ იდეებს, რომლებსაც მე მუდამ ვიცავდი“. ეროვნული კრების დეპუტატმა მიშელ მორისბოკანოვსკიმ (სოციალური მოქმედების რესპუბლიკური კავშირი) განაცხადა, რომ „ეს ყველა ქვეყნას შორის ფართო დიპლომატიური, სავაჭრო და კულტურული ურთიერთობის მომხრეა. „ვერ ვხედავ, რატომ უნდა გავაკეთოთ გამონაკლისი საბჭოთა კავშირისათვის, — თქვა მან. — მე მსურს, რომ, გარდა ყოველგვარი პოლიტიკური საკითხისა, ამ ქვეყნებს შორის უკვე არსებული ურთიერთობის გაუმჯობესება გახდეს მრავალი თაობისათვის გარანტირებული მშვიდობის საწინდარი“. ქალაქ ბოვეს მერმა სურვილი გამოთქვა, რომ „რაც შეიძლება მალე დაიწყოს მოლაპარაკება ერთი მხრივ საფრანგეთისა და მის მოკავშირეებს და მეორე მხრივ სსრ კავშირს შორის“.

საბჭოთა კავშირის კულტურული და ეკონომიური წარმატებებისადმი მიძღვნილი კრებები იმართება აგრეთვე საფრანგეთის ბევრ სოფელში.

ავსტრიის დელეგაცია ქალი საბჭოთა კავშირში ყოფნის შესახებ

ვენა, 4 დეკემბერი. (საკდესი). გაზეთმა „ესტერრაიხიშე ფოლკსშტიმმ“ გამოაქვეყნა ნაამბობი კორდულა როსმანისა, რომელიც ამას წინათ ეწვია საბჭოთა კავშირს ავსტრიელ ქალთა დელეგაციის შემადგენლობაში.

აცხადებს რა, რომ საბჭოთა კავშირში მას უწინარეს ყოვლისა აინტერესებდა საკითხი, რატომ ასე აქტიურ მონაწილეობას იღებენ საბჭოთა ქალები თავიანთი ქვეყნის ცხოვრების ყველა დარგში, როსმანი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ამის მთავარი მიზეზია ის, რომ საბჭოთა სახელმწიფომ საუცხოო პირობები შექმნა ქალების ცხოვრებისა და შრომისათვის.

საბჭოთა კავშირში ქალი მამაკაცის თანაბარ შრომაში თანაბარ გასამრჯელოს იღებს. მის უფლებებს წარმოებაში სპეციალური კანონები იცავს. საბჭოთა ქალების მუშაობას წარმოებაში დიდ დახმარებას უწევს შრომის პროცესების დღითიდღე მზარდი მექანიზაცია. ამიტომ სსრ კავშირში ქალები ეუფლებიან ისეთ პროფესიებს, რომლებიც ავსტრიაში მიჩნეულია „მამაკაცის“ პროფესიებად.

როსმანი აღნიშნავს, რომ სსრ კავშირში სახელმწიფო თვითონ კისრულობს წარმოებაში მომუშავე ქალთა ბავშვებისათვის ზრუნვის მნიშვნელოვან ნაწილს. საბჭოთა კავშირში შექმნილია, კერძოდ, საბავშვო ბაგებისა და ბაღების უდიდესი ქსელი. ამ ქვეყანაში ნამდვილად განხორციელებულია ლოზუნგი „ყველაფერი დედისათვის, ყველაფერი ოჯახისათვის“.

იტალიელი მეცნიერი საბჭოთა კავშირში მოგზაურობის შესახებ

რომი, 7 დეკემბერი. (საკდესი). გაზეთმა „უნიტამ“ გამოაქვეყნა ინტერვიუ რომის ხელოვნების კულტურების ინსტიტუტის დირექტორის პროფესორ ალბერტო პიროვანოსი, რომელიც ამას წინათ დაბრუნდა საბჭოთა კავშირიდან.

პროფესორმა პიროვანომ განაცხადა, რომ იგი სავსებით კმაყოფილია მოგზაურობით. საბჭოთა კავშირის აგრობიოლოგიური ინსტიტუტები, თქვა მან, უკლებლივ ყველა „კარგად მოწყობილი და გრანდიოზულია“. პროფესორმა პიროვანომ აღნიშნა, რომ „საბჭოთა კავშირის მშრომელთა ცხოვრების დონე მნიშვნელოვნად ამაღლდა, განსაკუთრებით უკანასკნელ წლებში“.

პიროვანომ დიდად შეაქო მოსკოვის უნივერსიტეტის ახალი შენობა და კოლმეურნეობათა ორგანიზაცია.

ინდოეთის საზოგადოებრიობა მიესალმება ინდოეთ-საბჭოთა კავშირის სავაჭრო შეთანხმებას

დელი, 4 დეკემბერი. (საკდესი). ინდოეთის საზოგადოებრიობა და საქმიანი წრეები მხურვალედ მიესალმებიან ინდოეთსა და საბჭოთა კავშირს შორის სავაჭრო შეთანხმების დადებას.

გაზეთი „სტეიტსმენი“ წერს, რომ სავაჭრო შეთანხმება „დიდმნიშვნელოვანი ეტაპია ამ ორი ქვეყნის ომისშემდგომ სავაჭრო ურთიერთობაში“.

ეხება რა საკითხს იმის შესახებ, რომ ორივე მხარეს შეუძლია წარმატებით განახორციელოს ეს სავაჭრო შეთანხმება, გაზეთი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „ტექნიკის საკითხებში რუსეთს მოეპოვება უდიდესი გამოცდილება, რაც მან თავისი გეგმების წარმატებით შესრულების პერიოდში მიიღო“.

დელის გაზეთი „ნავ ბჰარატ ტაიმსი“ წერს, რომ „ინდოეთ-საბჭოთა კავშირის შეთანხმების განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს სხვა სავაჭრო ხელშეკრულებებს შორის“.

„ჩვენ, — აცხადებს გაზეთი, — საბჭოთა კავშირიდან მივიღებთ სამანქანო მოწყობილობას, რომელიც ინდოეთს ასე მწვავედ ესაჭიროება და რომლის მიღებასაც ამერიკის შეერთებული შტატებიდან და ინგლისიდან ეგი ამაოდ ცდილობდა მთელი რიგი წლების მანძილზე“.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მე-8 სესია

სპეციალურ პოლიტიკურ კომიტეტში

ნიუ-იორკი, 4 დეკემბერი. (საკდესი). გუშინ სპეციალური პოლიტიკური კომიტეტის სხდომაზე გრძელდებოდა ყამათი სამხრეთ აფრიკაში რასობრივი კონფლიქტის საკითხზე.

ერაყის, ბირმის, ბოლივიისა და ბრაზილიის დელეგატებმა გაილაშქრეს სამხრეთ აფრიკის კავშირის დელეგაციის რეზოლუციის პროექტის წინააღმდეგ, რომელიც მოითხოვს, რომ კომიტეტმა აღიაროს თავისი არაკომპეტენტურობა ამ საკითხის განხილვაში. მათ განაცხადეს, რომ მხარს უჭერენ 17 ქვეყნის დელეგაციების რეზოლუციის პროექტს.

ერაყის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ რასობრივი დისკრიმინაცია მარტო სამხრეთ აფრიკის კავშირში როდია. რასობრივი დისკრიმინაცია, ჩაგვრა და ექსპლოატაცია საერთო მოვლენაა აღიარებული. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია არ უნდა შეურიგდეს ასეთ მდგომარეობას. ასეთი დიდმნიშვნელოვანი საკითხის განხილვის დროს, განაგრძო ერაყის დელეგატმა, კომიტეტში დაისახა ორი ჯგუფი სხვადასხვა თვალსაზრისით. დელეგაციების მცირე ჯგუფი, რომელსაც მეთაურობენ კოლონიური სახელმწიფოების წარმომადგენლები, მხარს უჭერს სამხრეთ აფრიკის კავშირის პოზიციას და არა სურს არსებითად განიხილოს საკითხი. მეორე ჯგუფი — არაბთა, აზიისა და სხვა ქვეყნების დელეგაციები, — რომელიც წარმოადგენს კომიტეტის უმრავლესობას, ცდილობს ბოლო მოეღოს რასობრივი დისკრიმინაციის პოლიტიკას არა მარტო სამხრეთ აფრიკის კავშირში, არამედ აგრეთვე ყველა სხვა ქვეყანაში, სადაც იგი არსებობს.

ბირმის წარმომადგენელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ რასობრივი დისკრიმინაციის განხორციელების შედეგად სამხრეთ აფრიკის ფერადკანიანი მოსახლეობა მონობის პირობებში ცხოვრობს. ეს არის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების უხეში დარღვევა და „ადამიანის პიროვნების ღირსების სრული უგულებელყოფა“.

ნორვეგიის დელეგატმა განაცხადა, რომ მისი ქვეყანა წინააღმდეგია რასობრივი დისკრიმინაციისა, რა ფორმითაც უნდა გამოიხატოს იგი. მაგრამ ნორვეგიის დელეგაციას, თქვა მან, არ შეუძლია ხმა მისცეს 17 ქვეყნის რეზოლუციის პროექტს, თუ ამ პროექტიდან არ იქნება ამოღებული ყოველგვარი გაკიცხვა, აგრეთვე რაიმე რეკომენდაცია სამხრეთ აფრიკის კავშირის მთავრობისადმი რასობრივი დისკრიმინაციის პოლიტიკის შესახებ.

ახალი ზელანდიის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მისი დელეგაცია თავს შეიკავებს სამხრეთ აფრიკის კავშირის დელეგაციის რეზოლუციის პროექტის კენჭისყარში და ხმას მისცემს 17 ქვეყნის რეზოლუციის პროექტის წინააღმდეგ.

უშიშროების საბჭოში

ნიუ-იორკი, 4 დეკემბერი. (საკდესი). 3 დეკემბერს უშიშროების საბჭომ დაამტკიცა თავისი ექსპერტთა კომიტეტის რეკომენდაცია იმის შესახებ, რომ დაკმაყოფილდეს იაპონიისა და სან-მარინოს თხოვნა საერთაშორისო სასამართლოს სტატუტთან მათი შეერთების თაობაზე. სსრ კავშირის წარმომადგენელმა ამ რეკომენდაციის კენჭისყარში თავი შეიკავა.

შემდეგ უშიშროების საბჭომ განაგრძო განხილვა სირიის საჩივრისა ისრაელზე იმ სამუშაოებთან დაკავშირებით, რომლებიც ისრაელმა დაიწყო დემილიტარიზებულ ზონაში, მდინარე იორდანეზე.

პაკისტანის წარმომადგენელმა ზაფრულა-ხანმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ, როგორც დაზავების პირობების შესრულებისადმი მეთვალყურე ორგანიზაციის შტაბის უფროსმა გენერალმა ბენიკემ განაცხადა, მდინარე იორდანეს რაიონში დაწყებული სამუშაოები ცუდ გავლენას მოახდენს იმ მიწების მორწყვაზე, რომლებიც სირიელებს ეკუთვნის. მან განაცხადა, რომ ამ სამუშაოთა დამთავრების შედეგად ისრაელი სამხედრო უპირატესობებს შეიქმნის. პაკისტანის დელეგატმა შემდეგ განაცხადა, რომ ისრაელს უფლება არა აქვს სირიის დაუკითხავად რაიმე სამუშაო განახორციელოს დემილიტარიზებულ ზონაში და რომ ამ სამუშაოთა დაწყებით ისრაელმა დაარღვია შეთანხმება დაზავების შესახებ, დადებული სირიასა და ისრაელს შორის 1949 წელს.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და შვეიცარიის სავაჭრო ურთიერთობის გაფართოება

სტოკჰოლმი, 7 დეკემბერი. (საკდესი). ბერლინში ხელი მოაწერეს შვეიცარიასა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის 1954 წლის საქონელგაცვლის სავაჭრო შეთანხმებას.

შეთანხმება ითვალისწინებს ვაჭრობის მნიშვნელოვნად გაფართოებას შარშანდელთან შედარებით. შვეიცარიის დემოკრატიულ რესპუბლიკას მიაწვდის თევზს, ერბო-კარაქს, აგრეთვე რკინას, ფოლადს, ცელულოზას, ქაღალდს, მორიმლავებსა და სხვ.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა შვეიცარიას მიაწვდის მურა ქვანახშირს ბრიკეტებად, კალიუმს, გლაუბერის მარილს და სხვა ქიმიკატებს, ავტომობილებს, მანქანებს, ზუსტ აპარატურას, ფაიფურს, მინასა და საფეიქრო ნაწარმს.

დიპლომატიური ურთიერთობის განახლება ირანსა და ინგლისს შორის

ლონდონი, 5 დეკემბერი. (საკდესი). რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი თეირანიდან გადმოგვცემს ზაჰედის მთავრობის წარმომადგენლის ცნობას იმის შესახებ, რომ დღეს ირანმა განაახლა ინგლისთან დიპლომატიური ურთიერთობა.

ლონდონი, 5 დეკემბერი. (საკდესი). როგორც რეიტერის თეირანელი კორესპონდენტის ცნობიდან ჩანს, თვალსაჩინო ირანელმა რელიგიურმა მოღვაწემ ქაშანიმ დღეს ირანელ ხალხს მოუწოდა გამოაცხადოს გლოვა ინგლისსა და ირანს შორის დიპლომატიური ურთიერთობის განახლების გამო.

ქაშანიმ აგრეთვე აღნიშნა, რომ ირან-ინგლისის დიპლომატიური ურთიერთობის განახლება ხდება ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ზეგავლენის შედეგად.

ინგლისის ჯარების უწესოება სუეცის არხის ზონაში

კაირო, 4 დეკემბერი. (საკდესი). როგორც გაზეთი „ალ-აჰბარი“ იუწყება, ეგვიპტის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ინგლისის საელჩოს გაუგზავნა ნოტა, რომელშიც გამოთქვამს ეგვიპტის მთავრობის პროტესტს ფაიიდში ინგლისის ჯარების მიერ ეგვიპტელი ვაჭრების მაღაზიების ხელში ჩაგდების წინააღმდეგ. ეგვიპტის მთავრობა მოითხოვს, რომ ვაჭრებს დაუბრუნონ წართმეული საქონელი.

ნიქსონი ინდოეთში

დელი, 4 დეკემბერი. (საკდესი). დღეს დელიდან ქაბულს (ავღანეთი) გაფრინდა ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტი ნიქსონი, რომელიც ინდოეთში იმყოფება 29 ნოემბრიდან.

ინდოეთში ნიქსონის ჩასვლამ ინდოეთის საზოგადოებრიობისა და პრესის მრავალი პროტესტი გამოიწვია. მათ მიიჩნიათ, რომ აზიის ქვეყნებში ნიქსონის მოგზაურობა არის ამერიკის შეერთებული შტატების ცდა — გააძლიერონ დაძაბულობა აზიაში. ეს აზრი განმტკიცდა იმასთან დაკავშირებით, რომ, როგორც გაზეთი „ინდიან ექსპრესი“ წერდა, ინდოეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების უთანხმოებას ჩინეთისა და კორეის საკითხებზე მიემატა ინდოელთა ახალი ეჭვი ამერიკა-პაკისტანის სამხედრო მოლაპარაკების შესახებ ცნობებთან დაკავშირებით. გაზეთი „სტეიტსმენი“ წერდა, რომ სამხედრო შეთანხმების დადების შესახებ ამერიკის შეერთებული შტატებისა და პაკისტანის მოლაპარაკების მიზანია არაპირდაპირი ზეგავლენა მოახდინონ ინდოეთზე.

ინდოეთის პარლამენტის მთელმა რიგმა წევრებმა გამოაქვეყნეს განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ ნიქსონი მაკარტიზმის თავგამოდებული მომხრეა და რომ ამერიკის შეერთებული შტატები კორეის საკითხთა პოლიტიკურ კონფერენციაში ინდოეთის მონაწილეობის წინააღმდეგი არიან და მხარს უჭერენ ლი სინ მანს. პარლამენტის წევრები ბრალად სდებენ აგრეთვე ამერიკის შეერთებულ შტატებს, რომ ისინი ფუშავენ ინდოეთის ღონისძიებებს. როგორც მიუნანა კორეელ სამხედრო ტყვეთა საკითხის მშვიდობიანი გადაჭრა.

გამუზავრების წინ ნიქსონმა პრესის წარმომადგენლებს განუცხადა, რომ მთავარი საკითხი, რომელიც მან დელში ყოფნის დროს განიხილა, იყო კორეის საკითხთა პოლიტიკური კონფერენცია და ის საკითხი, რომ დელში უნდა მოიწვიონ თუ არა ეს კონფერენცია.

დასავლეთის სამი სახელმწიფოს თათბირი ბერმუდესის კუნძულებზე

ნიუ-იორკი, 4 დეკემბერი. (საკდესი). როგორც საინფორმაციო სააგენტო იუწყება, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ეიზენჰაუერი, ინგლისის პრემიერ-მინისტრი ჩერჩილი და საფრანგეთის პრემიერ-მინისტრი ლანიელი ბერმუდესის კუნძულებზე ჩავიდნენ სათათბიროდ. ამ სეპარატულ თათბირში მონაწილეობას მიიღებენ აგრეთვე სამი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრები.

დასავლეთის სამი სახელმწიფოს ბერმუდესის თათბირის გამო

ნიუ-იორკი, 5 დეკემბერი. (საკდესი). იუნაიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტის ცნობაში ბერმუდესის თათბირის შესახებ ნათქვამია: „საფრანგეთის წარმომადგენლებისაგან მიღებული ცნობებით, სამი სახელმწიფოს თათბირზე ლანიელის დელეგაციის ღირსება შეილახა იმით, რომ ავტომობილებით საპარადო გავლის დროს ლანიელი მიდიოდა იდენისა და დალესის უკან. ფრანგები აგრეთვე გაკვირვებას გამოთქვამენ, რატომ არ შესრულა უელსელ მსროლელთა ორკესტრმა ლანიელის მისვლის მომენტში „მარსელიოზა“, გუშინ კი ეიზენჰაუერის მისვლის აღსანიშნავად შესრულებულ იქნა ამერიკის ეროვნული ჰიმნი“.

ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტის ცნობით, ლანიელი, რომელმაც არ იცის ინგლისური ენა, არ გამოსულა თათბირის მონაწილეთა პირველ სხდომაზე და ილაპარაკა მხოლოდ ბიდომ.

თვითმფრინავების კატასტროფა თურქეთში

ლონდონი, 5 დეკემბერი. (საკდესი). რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი ანკარიდან იუწყება:

როგორც თურქეთის სამხედრო-საჰაერო ძალების სარდლობამ განაცხადა, 4 დეკემბერს მერზიფოკში (300 კილომეტრზე ანკარის ჩრდილო-აღმოსავლეთით) სამხედრო-საჰაერო ბაზის მახლობლად ნისლში ერთმანეთს დაეჯახა 4 ავიაგამანადგურებელი „სპიტფაირი“. სამი მფრინავი დაიღუპა, მეოთხე უვნებლად გადარჩა.

გარდა ამისა, კიდევ ერთი ავიაგამანადგურებელი „სპიტფაირი“ უგზოუკცლოდ დაიკარგა.

სურათზე: მძლეოსნური წრიული ამანათრბენის სტარტი ბოედანზე. ვაჟთათვის თბილისის ლენინის ფოტო ვ. ზარიძისა.

მძლეოსნური ამანათრბენი

თბილისის მძლეოსნებმა სსრ კავშირის კონსტიტუციის დღეს მიუძღვნეს მასობრივი ასპარეზობა — წრიული ამანათრბენი. სტარტი და ფინიში მოწყობილი იყო ლენინის მოედანზე. აქ 6 დეკემბერს თავი მოიყარეს ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა სასპორტო საზოგადოებათა, უმაღლესი სასწავლებლებისა და ტექნიკუმების, ფაბრიკა-ქარხნებისა და სკოლების მოწინავე მძლეოსნებმა, მსაჯებმა, სპორტის მოყვარულებმა.

ქალებს ცენტრალური ქუჩებით უნდა გაერბინათ 11 ეტაპი, ვაჟებს — 14.

თავიდანვე მწვავე ბრძოლა გაჩაღდა ფიზკულტურის ტექნიკუმისა და სტალინის რაიონის მძლეოსან ქალთა კოლექტივებს შორის. მცირე უპირატესობით გაიმარჯვეს ფიზკულტურის ტექნიკუმის სპორტსმენებმა, რომლებმაც მანძილი გაირბინეს 6 წუთსა და 25,4 წამში.

საინტერესოდ მიმდინარეობდა შეჯიბრება ვაჟთა გუნდებს შორის. ასპარეზობაში გამარჯვებული გამოვიდნენ ფიზკულტურის ინსტიტუტის მძლეოსნები (დრო — 18 წუთი და 21,4 წამი). მეორე ადგილი დაიკავა სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდმა, მესამე — ნახიმოვის სასწავლებლის სპორტსმენთა კოლექტივმა.

გამარჯვებულებს საზეიმოდ გადაეცა ჯილდოები. ამ შეჯიბრებით თბილისის მძლეოსნებმა დახურეს სასპორტო სეზონი.

თასი ოფიცერთა სახლის გუნდმა მოიპოვა

თბილისის სასპორტო ბაზებზე 22 გუნდის მონაწილეობით ერთ თვეს გრძელდებოდა ტრადიციული ასპარეზობა ფეხბურთში სსრ კავშირის კონსტიტუციის სახელობის თასის მოსაპოვებლად.

ფეხბურთელთა ძლიერი კოლექტივები გამოიყვანეს თბილისის ოფიცერთა საოლქო სახლმა და ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველომ. ამ გუნდებმა ნახევარფინალში დაამარცხეს მაუდკამვოლის ფაბრიკისა და 35-ე საშუალო სკოლის გუნდები.

თბილისის ოფიცერთა საოლქო სახლისა და ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს ფეხბურთელთა კოლექტივების დასკვნითი შეჯიბრება გაიმართა 6 დეკემბერს „დინამოს“ სტადიონზე. თამაში არბიელ სპორტსმენთა უპირატესობით მიმდინარეობდა და დამთავრდა მათი გამარჯვებით ანგარიშით 5 : 1.

შეჯიბრების დამთავრების შემდეგ თბილისის ოფიცერთა საოლქო სახლის გუნდს საზეიმოდ გადაეცა გარდამავალი ჯილდო — სსრ კავშირის კონსტიტუციის სახელობის თასი. ამავე დღეს ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს ფეხბურთელთა კოლექტივმა საქალაქო ჩემპიონატში გამარჯვებისათვის მიიღო გარდამავალი ჯილდო.

წიგნები სოფლის ბიბლიოთეკებისათვის

ყოველდღიურად საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს „საქწიგნის“ საბიბლიოთეკო კოლექტორი რესპუბლიკის სასოფლო ბიბლიოთეკებს უგზავნის ათასობით მანეთის პოლიტიკურ სასოფლო-სამეურნეო, მხატვრულ ლიტერატურას. მიმდინარე წლის ათ თვეში 43.000 მანეთის წიგნი გაეგზავნა მარტო თელავის რაიონის სასოფლო ბიბლიოთეკებს, 20.000 მანეთის — ონის, 32.000 მანეთის — ცაგერის რაიონის ბიბლიოთეკებს. ასეულ ათასობით მანეთის ლიტერატურა გაეგზავნათ ამბროლაურის, წალენჯიხის, ახალქალაქის, ყაზბეგისა და სხვა რაიონების სასოფლო ბიბლიოთეკებს.

წიგნები დიდი რაოდენობით იგზავნება შორეულ რაიონებშიც. ამ დღეებში ლენტეხის რაიონის ჯახუნდრის, ჩოლურის და ხოფურის სასოფლო ბიბლიოთეკებს გაეგზავნა 2.000 მანეთის წიგნები, ათასობით მანეთის წიგნები გაეგზავნა აგრეთვე მესტიის რაიონის ადიშისა და იელის სასოფლო ბიბლიოთეკებს.

სოფლის ბიბლიოთეკებმა ბოლო ხანებში მიიღეს ბევრი სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურა: მ. გურგენიძის „მეღორეობის მოწინავე საკოლმეურნეო ფერმა“, ე. კოტეგნიკოვის „კვიცების გამოზრდა“, ნ. თულაშვილის „თავთავიანი კულტურების მავნე ჭიქინობელები საქართველოში და მათთან ბრძოლის თანამედროვე საშუალებანი“, ნ. ვახვახიშვილის „თევზის მრეწველობა“ და სხვ.

ახალი მაღაზიები და სასადილოები

ხობი. (საკ. კორ.). სოფელ ხამისკურის ცენტრში ახლახან გაიხსნა სოფლის მაღაზია, რომელიც ვაჭრობს სამრეწველო, სასურსათო, საშეურნეო და კულტსაქონლით. სოფელ ქვალონში გაიხსნა სასურსათო და სამრეწველო საქონლის კეთილმოწყობილი მაღაზია.

სოფელ საჯიჯაოსა და სოფელ ქვალონში გაიხსნა შუშათა სასადილოები, სადაც მზადდება გემრიელი და იაფფასიანი კერძები.

რაიკოოპერატივი რაიონულ ცენტრში 20 დეკემბრამდე გახსნის სამომხმარებლო საქონლის კეთილმოწყობილი მაღაზიას. იგი ლამაზი გაფორმებითა და ფართო მოხმარების საქონლის ნაირფეროვნებით პირველი იქნება რაიონში. საკოლმეურნეო ბაზარში გაიხსნა რაიმაღაზიის ორი ფილიალი, სადაც იყიდება სამრეწველო საქონელი.

ლ. კეცხოველის სახელობის ბიბლიოთეკაში

8 დეკემბერს საღამოს 8 საათზე შედგება ლექცია დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის დამოუკიდებლად შემსწავლელთათვის თემაზე: „ფილოსოფიაში ორი ბანაკის — მატერიალიზმის და იდეალიზმის ბრძოლა“. ლექტორი ამხ. კ. ესაიაშვილი.

რედაქტორის მოადგილე
რ. ძურციკიძე.

ღღეს თეატრებსა და კინოებში

გრიბოედოვის სახელობის — თივა და ავი ძაღლი (ახალი სპექტაკლი), **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — ასე იწყება ცხოვრება (აბონემენტი № 14, 6 ს.), **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — ჩექმებიანი კატა (1 ს.), **სანიტარული კულტურის** — „საგზურები“.

რუსთაველის სახელობის, ამირანი, ოქტომბერი, თბილისი, ისანი, 26 კომისრის, პლეხანოვის და **ვოროშილოვის კლუბები** — დაკარგული მელოდიები, **კომკავშირელი** — შემთხვევა უდაბნოში, **კოლხიდა, დიდუბე, ოფიცერთა სახლი** — ვასა ეფეფხვია, **კოლმეურნე** — ვაჟიშვილები.

თბილისის სახელმწიფო ცირკი

პროგრამის მთლიანი გამოცვლა
რსფსრ სახალხო არტისტის
ვლადიმერ დურვის ბაესტროლები
თავისი გაწვრთნილი ცხოველებით
და დიდი საცირკო პროგრამა
ახლად ჩამოსულ მსახიობთა
მონაწილეობით.
დასაწყისი საღამოს 8 ს. 30 წ.

კვირას, 13 დეკემბერს.
დღის 2 საბავშვო წარმოდგენა
დასაწყისი I—12 ს., II—3 ს.
ბილეთები იყიდება ცირკის სალაროებში და რუსთაველის პროსპ. № 24, პლეხანოვის პროსპ. № 97. მიიღება შეკვეთები კოლექტიურ დასწრებაზე.

ოპერისა და ბალეტის თეატრი

9 დეკემბერს	ნიმსკი-კორსაკოვი — **მეფის საცოლე**
10 დეკემბერს	დ. თორაძე— **მშვიდობისათვის**

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

„იუველირტორგი“
„იუველირტორგის“ თბილისის რესპუბლიკური კანტორის ყველა მაღაზიაში დიდი ასორტიმენტით არის:

ოქროს ნაკეთობანი ბრილიანტებით, ალმასებითა და ნახევრადძვირფასი ქვებით და უქვებოდ, ოქროს დისკოები კბილებისათვის, ვერცხლის ჭურჭელი: საშაქრეები, სანამცხვრები, სარძეووები, ყავადნები, ჩაიდნები, სხვადასხვა კოვზები, დანა-ჩანგალი, საჭიქები, პორტსიგარები, სასადილო მოწყობილობა და სხვ.

ვერცხლისა და ლითონის გალანტერია: საათის სამაჯურები, გულის ქინძისთავები, საკინძები, ბეჭდები, კულონები, medaლიონები, საპუდრეები, საყურეები, სხვადასხვა ძეწკვები და სხვ.

ქარვის ნაკეთობანი: გულქანდები, სამაჯურები, გულის ქინძისთავები, მუნდშტუკები. სხვადასხვა მარკის ოქროს, ლითონის მაჯისა და ჯიბის საათები.
კედლის, მაგიდისა და მაღვიძარა საათები.

საათები იყიდება ერთი წლის გარანტიით

ბაპიე-მაშეს ნაკეთობანი, ქვაზე ამოჭრილი ნაკეთობანი.

„იუველირტორგის“ მაღაზიებში შეგიძლიათ შეიძინოთ საუკეთესო საჩუქრები

„იუველირტორგის“ შემსყიდველ პუნქტებში თბილისში, პუშკინის ქუჩა № 11, პლეხანოვის პროსპექტი № 95. და ბათუმის მაღაზიასთან არსებულ პუნქტში, სტალინის ქუჩა № 21, წარმოგებს მოსახლეობისაგან ფასეულობათა ნაღდ ანგარიშზე შესყიდვა დამტკიცებული პრეისკურანტით.

„იუველირტორგს“ მაღაზიები აქვს:

თბილისში: მაღაზია № 1 — ლენინის მოედანი, № 4, № 2 — მარჯანიშვილის ქ. № 22, № 3 — სტალინის რაიონის დახურული ბაზარი, № 4 — შუმიანის ქ. № 11; ბათუმში — სტალინის ქუჩა № 21; სუხუმში — ლენინის ქ. № 1; ქუთაისში — ფალიაშვილის ქუჩა № 23; ზუგდიდში — რუსთაველის ქუჩა № 82; თელავში — ლენინის ქუჩა № 6; გორში — ლენინის ქუჩა № 44; ახალციხეში — სტალინის ქუჩა № 147; გაგრაში — სტალინის ქუჩა № 139; მახარაძეში — გურიის ქუჩა № 67; ზესტაფონში— ლენინის ქუჩა № 22.

მოქალაქე **ცვიკ ვართანის ასულმა ალიბეგაშვილმა**, მცხოვრებმა სურამის ქ. № 9, აღძრა საქმე ბოქორიშვილის ქ. № 43 მცხოვრებ მოქალაქე **როდენ ფედორეს-ძე ალიბეგაშვილთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის სტალინის რაიონის მე-3 უბნის სახალხო სასამართლო.

მეუღლე ანა, შვილები თენგიზ, ნოდარ იუწყებიან **დავით დიმიტრის-ძე ნანობაშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 8, 9-XII, 8 ს. გამოსვენება 10-XII, 4 ს. კაშენის ქ. № 3.

თბილისის მე-4 პოლიკლინიკის თანამშრომლები იუწყებიან **დავით დიმიტრის-ძე უვანიას** გარდაცვალებას.

თბილისის უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დირექცია, პარტორგანიზაცია, ადგილკომი და პროფესორ-მასწავლებლები იუწყებიან **კალისტრატე მელიტონის-ძე ჯანგველაძის** გარდაცვალებას.

„საქმახტმონტაჟის“ სამმართველოს თანამშრომლები იუწყებიან **ანთიმოზ ეფვთიმეს-ძე მაისურაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა ქ. ონში.

მეუღლე ვასო, შვილი არჩილი ბოლქვაძეები, რძალი გაიანე ავალიანი, შვილიშვილები ფატმან, ნესტანი იუწყებიან **ნატაშა ნიკოლოზის ასულ დუნდუა-ბოლქვაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 8-9-XII 8 ს. გამოსვენება 10-XII 4 ს. ფალიაშვილის, ქ. № 50 ბ.

შვილები იოსებ, მარიამ, თამარ, ქეთო ფარცხალაძეები, სიძე ა. ფირცხალავა, რძალი ბადუ, შვილიშვილები გულჯავარ, შოთა, სულთან ოჯახებით, ლიალია, ნანა, ბიძინა იუწყებიან **ნინო ეფვთიმეს ასულ ფარცხალაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 8-XII ქ. წულუკიძეში. გამოსვენება ბინიდან (მოლოტოვის ქ. № 2).

მშობლები მარო, ნოე, ძმები გურამ, ოთარ შენგელიები, მეუღლე ტასო, შვილები ზურაბ, გურამ კობერიძეები იუწყებიან **იულონ არჩილის-ძე კობერიძის** გარდაცვალებას. გამოსვენება 8-XII, 2 ს. ქ. რუსთაველიდან. დაკრძალვა თბილისში კუკიის სასაფლაოზე 4 ს.

და მაშო, ძმა გრიგოლ, შვილები: ნინო, თამარ, თინა, ალექსანდრე, გრიშა, რძლები ნინო, საშა, მაგული რუსიშვილები, სიძეები ს. მიქაუტაძე, ა. ახვლედიანი, ე. შარაშენიძე ოჯახებით იუწყებიან **აგრაფინა რუსიშვილის** გარდაცვალებას, დაკრძალვა 11-XII ჩხუტელში (ცაგერის რაიონი).

„კავკასნახშირგეოლოგიის“ ტრესტის თანამშრომლები იუწყებიან **ანა სიმონის ასულ თევდორაძე-რუხაძის** გარდაცვალებას.

ბავშვთა IV გაერთიანებული საავადმყოფოს ექიმები იუწყებიან **ნიკიფორე ნაუმის-ძე შუკვალოვის** გარდაცვალებას.

ქ. თბილისის ვაჟთა მე-2 საშუალო სკოლის თანამშრომლები იუწყებიან **პავლე დათეგაშვილის** გარდაცვალებას.

რესპუბლიკის დედათა და ბავშვთა ჯანდაცვის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის თანამშრომლები იუწყებიან **რ